# სარბიელი

სპორტული გაზეთი · გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან · ხუთშაბათი, 16 ოქტომბერი 1997 №128 (493) · ფასი 40 თეთრი


## 9 ტური

მაღაროელი 1:0 მორკინალი
ლოკომოტივი 2:1 გურია
სიონი 2:0 სამგურალი
ბათუმი 5:2 მარგვეთი
ოდიში 1:0 მერანი
კოლხეთი 0:2 დილა
თსუ 0:1 დინამო
გადაიდო
ტორპედო – მეტალურგი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოდიში | 8 | 7 | 1 | 0 | 16:1 | 22 |
| დინამო | 7 | 7 | 0 | 0 | 23:3 | 21 |
| თსუ | 9 | 5 | 2 | 2 | 14:9 | 17 |
| მერანი | 9 | 5 | 1 | 3 | 15:9 | 16 |
| ბათუმი | 8 | 4 | 3 | 1 | 17:8 | 15 |
| კოლხეთი | 9 | 4 | 1 | 4 | 20:13 | 13 |
| მორკინალი | 9 | 3 | 4 | 2 | 10:7 | 13 |
| დილა | 9 | 4 | 1 | 4 | 9:13 | 13 |
| ტორპედო | 8 | 2 | 4 | 2 | 12:12 | 10 |
| ლოკომოტივი | 9 | 2 | 3 | 4 | 9:15 | 9 |
| სამგურალი | 9 | 2 | 2 | 5 | 11:23 | 8 |
| გურია | 9 | 1 | 4 | 4 | 9:16 | 7 |
| მაღაროელი | 9 | 2 | 1 | 6 | 9:23 | 7 |
| მეტალურგი | 8 | 2 | 0 | 6 | 5:12 | 6 |
| მარგვეთი | 9 | 1 | 2 | 6 | 10:24 | 5 |
| სიონი | 9 | 2 | 3 | 4 | 12:13 | 4 |


რეპორტაჟები იხილეთ მეორე გვერდზე




გუშინ მცხეთაში. თსუ — „დინამო“:
ლევან ხომერიკი ყველაზე მაღლა კი ახტა, მაგრამ ვერ გაიტანა

## მეჯვარავი რაღაცას მიხვდა

„ბრაგას“ მეორე მწვრთნელი ანტონიო ოლივეირა გუშინ მცხეთაში თსუ — „დინამოს“ შეხვედრას დაესწრო და შინ, პორტუგალიაში, შთაბეჭდილებათა მთელი დავთარი გაიყოლა, ჩვენ კი ოლივეირას დავთარში ცალი თვალით ჩახედვა მოვახერხეთ და თბილისელ ფეხბურთელთა ჩამოგბლილი გვარების გასწვრივ პორტუგალიური მინაწერები შევნიშნეთ.



ოლივეირამ ბევრი ვერაფერი შეიტყო

— გულწრფელად გეტყვით — გვითხრა ბრაგელმა მწვრთნელმა — დღეს „დინამოს“ ორი წამყვანი ფეხბურთელი, ცქიტიშვილი და ლობჟანიძე ეკლდა, იმიტომ არ ათამაშეს, რომ მე ვიყავი სტადიონზე. არც ის მგონია, თბილისის გუნდი საქართველოს გარეთ სამი მეექვსე თამაშობდეს, ეს ალბათ შინაური ჩემპიონატის მატჩებისთვის შემუშავებული სათამაშო სქემაა. კიდევ ის ვიცით, რომ ძირითადი შემადგენლობის ორი ფეხბურთელი მხოლოდ შეხვედრის მიწურულს შეუშვეს მოედანზე. მოკლედ, გუნდის ტაქტიკურ იერსახეზე წარმოდგენას შთაბეჭდილებები შექმნა ამ მატჩის მიხედვით შეუძლებელი გამოდგა.

— „დინამოს“ სხვანაირს ელოდით?

— არა, ასეთს ველოდი. „დინამოს“ ტექნიკური და ფიზიკურად ძლიერი ფეხბურთელები ჰყავს, ტაქტიკაზე კი, როგორც მოგახსენეთ, შთაბეჭდილება ვერ შევიქმენი, რადგან თამაშში მსვლელობისას სულ რაღაც იცვლებოდა.

— გასულ გათამაშებაში „დინამოს“ „ბოავიშტამ“ აჯობა. მაშინ თბილისში შეიქმნა აზრი, რომ „ბოავიშტას“ მთავარი პლუსი მისი ფიზიკური სიძლიერე იყო. „ბრაგაც“ ძლიერი გუნდია?

— ჩვენს ქვეყანაში ყველა გუნდი ერთნაირად ფიზიკურად მომზადებულია. განსხვავება ტაქტიკაშია.

— ახალგაზრდული გუნდი გყავთ?

— დიახ, საშუალო ასაკი 24 წელია. გვყავს პორტუგალიის ეროვნული, ახალგაზრდული და 18 წლამდე ნაკრებების მოთამაშეები. ჩემპიონატში ბრაზილიელი ორი ლეგიონერი, რომლებიც თავისი ქვეყნის 21 წლამდელთა გუნდის წევრია.

— რომელია „ბრაგას“ ძლიერი რგოლი?

— რომელიმე რგოლს ვერ გამოვყოფ. ვცდილობთ მთელი გუნდი ერთნაირად, გაწონასწორებული თამაშობდეს.

— ტაქტიკაზე რაღას გვეტყვით?

— ერთნაირი ტაქტიკით არ ვთამაშობთ, გეგმას მოწინააღმდეგის მიხედვით ვარჩევთ. მაგალითად, „დინამოსთან“ შევეცდებით მზად ვიყოთ იმ სტილისთვის, რომელიც დღეს მე ჩავიწერე. ზოგადად კი ტექნიკის, ტაქტიკის და ფიზიკური მომზადების შერწყმას ვეძიებთ. მართალია, „ბრაგა“ იდეალური გუნდი სულაც არ არის, მაგრამ სუსტიც არ გეგონოთ.

— საქართველოში „პორტუს“ და „ბენფიკას“ უფრო ვიცნობთ. მათ შესადარად თქვენზე მეტყველება შეიძლება?

— ეს ორი გუნდი პორტუგალიის ჩემპიონატის სხვებზე ხშირად, რადგან ყველა ძლიერი მოთამაშე მათ ხელშია. ამით იმის თქმა არ მინდა, რომ ჩვენს ძლიერი ფეხბურთელები არ გვყავს, მაგრამ „პორტუ“ და „ბენფიკა“ სხვაა. ისე კი ჩვენ ამ სეზონში „ბენფიკასთან“ 1:1 ვითამაშეთ.

— „ბრაგა“ შემტევი გუნდია?

— უეფას თასზე მეტოქეს ძლევა თუ გინდა, უნდა შეუტიო. იქვეს ის, ვისაც მეტი გოლი გააქვს.

— წინა წრეში ჰოლანდიურ „ვიტესს“ სამი გოლი გაუტანეთ და საშინაო პანელეთი. ჩვეულებრივი გოლის გატანა რატომ ვერ მოახერხეთ?

— ნაცვლად ახსნისა ერთ ამბავს მოგიყვებით. რომ მინიშნება მინდა, რადგან ჩვენ ის მატჩი შინ მოვიგეთ, მისი თავდასხმებზე წაგვივიდა გარდა სხვა გზა არ ჰქონდა. ჰოლანდიელებს ჩვენებივით რომ არ წაეგეთ, ჩვეულებრივი გოლებიც გაიტანდა.

— და ბოლოს, გთხოვთ ალალად გვიპასუხოთ: „ბრაგა“ „დინამოზე“ ძლიერი გუნდია?

— იმედი მაქვს, რომ ასეა და ამის დამტკიცებას მოახლოებული ორი თამაშის ჯამში შევძლებთ.

**ბაჩუნა ძიდია**

## ბრაგას ბევრი დაუმალეს


მცხეთა
„არმაზი“
15 ოქტომბერი


**თსუ 0:1 დინამო**

**თსუ:** დოლიძე, ყოლბაია (გიორგი ქორიძე 46), ზამთარაძე, კობიაშვილი, კანკავა (ჭ. ჩიგოშვილი 85), შალამბერიძე, შ. ჩომახიძე, კობესაშვილი (ბახტაძე 79), რუსია, მელქაძე, როსტიაშვილი
**დინამო:** ჭანტურია, კალაძე, ჯელაძე (კიკნაძე 51), დიდავა, ჩიხრაძე, გუჩუა, გოგობერიშვილი, ჩხაიძე, გოგიჩაიშვილი, ხომერიკი (გელაძე 68), ალექსიძე (მუჯირი 38)
0:1 ჩხაიძე (58)
**გაფრთხილება:** რუსია, გოგიჩაიშვილი
**მსაჯი:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

**მამუკა კვანტალიანი**

მეცხრე ტურის ცენტრალურ მატჩს პორტუგალიელი სტუმრები ესწრებოდნენ: უეფას თასზე „დინამოს“ მეტოქე „ბრაგას“ ჩვენებურთა დასაზვერად გუნდის მეორე მწვრთნელი, ორი ჟურნალისტი, ვიდეოოპერატორი და ფოტორეპორტიორი გამოეგზავნა. ფოტორეპორტიორმა ორივე ტაიმის მომენტები აღბეჭდა ფირზე, მისმა კოლეგამ მთლიანად მეორე ნახევარი გადაიღო ვიდეოკამერით, ჟურნალისტები და მწვრთნელი კი მთელი მატჩის განმავლობაში ბლოკნოტებს აჭრელებდნენ. მოკლედ, პორტუგალიურმა დესანტმა ნაყოფიერად იმუშავა.

ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, დავით ყიფიანმა მშვენივრად უწყოდა. ამიტომ სტუმრებს ბევრი რამ დაუმალა. კერძოდ, მან სათამაშოდ არ გაიყვანა ცქიტიშვილი და ლობჟანიძე. მწვრთნელი არც კიკნაძისა და მუჯირის დაყენებას აპირებდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში თავიდან გამწესებულებმა მასპინძლებს ვერაფერი დააკლეს. ისიც სათქმელია, რომ გუშინ დინამოელები უგულოდ ირჯებოდნენ და რატომღაც არა მგონია, პორტუგალიელებს შინ რაიმე სახეირო ინფორმაცია წაეღოთ.

ცქიტიშვილის არყოფნაში ლიბეროდ დიდავა გამოვიდა. ალბათ, გივისაც ძნელად ახსოვს, ბოლოს როდის ითამაშა ამ ამპლუაში. სამაგიეროდ, თავდაცვას ჩინებული ორგანიზაცია გაუკეთა და დინამოელთაგან ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე გახლდათ.

პირველი ნახევარი საშუალო ტემპში დაიწყო და ასეც დასრულდა. შესამჩნევი უპირატესობა სტუმრებს ჰქონდათ და დოლიძეს სამჯერაც დაურტყეს, მაგრამ გუბაზმა სამჯერვე უნაკლოდ ითამაშა. თითოჯერ ჯელაძეს და ალექსიძეს ჰქონდათ სახეირო მომენტები, მაგრამ ისე სუსტად დაარტყეს, ბურთი მეკარის იოლი ლუკმა გახდა.

მეორე ტაიმში სტუდენტებმა სისწრაფეს უმატეს და ხელსაყრელი მომენტიც შექმნეს: გაბელიას მიერ თავდამსხმელთა მისაშველებლად შეყვანილმა ქორიძემ კალაძის შეცდომა კარგად გამოიყენა და საჯარიმოში შევარდნილმა მეკარეს უხერხულად მოსაგერიებელი დაურტყა. ჭანტურია ბოლო წამს შეწვდა ბურთს და მარჯვენა დაბალ კუთხეში დარტყმული კუთხურზე გადააგდო. მასპინძლებმა კუთხური უხეიროდ გაათამაშეს, ბურთი გოგიჩაიშვილმა მოიგდო და სწრაფად გაიჭრა წინ. ცენტრს გადაცილებულმა კიკნაძეს მიაწოდა, ყორიკამ კი ჩხაიძეს დაუგდო და ბურთი მასპინძელთა კარის მარჯვენა ცხრიანში შეფრინდა. სტუდენტებმა თავები არ ჩაქინდრეს და შეუტიეს. იმ დღეს აქტიურმა ქორიძემ თანაგუნდელთ ორი კარგი პასი მიაწოდა, მაგრამ ჯერ როსტიაშვილმა ვერ დაუფასა გარღვევა, მერე კი მელქაძემ ჩაუყარა წყალში გარჯა — თუ მასპინძელთა მეთერთმეტე ნომერი უდროო დროს წაიქცა, მეორედ ჭანტურიამ ივარგა, როცა კაპიტნის დამიზნებული უკუაგდო.

„დინამოს“ თავისუფლად შეეძლო, შეტევებში გართული მასპინძლები დაესაჯა, მაგრამ ორჯერ მცველთა ზურგსუკან დარჩენილ გოგიჩას დოლიძემ დაასწრო. ერთხელაც იმავე მდგომარეობაში მყოფმა მუჯირმა აჯობა მეკარეს, მაგრამ კარს ოდნავ ააცილა.

## პურს რუსული სამართალიც ჭამს

ესაო, ისაო, ფეირ-პლეიო და ამ დროს მართლაც თითიდან გამოწოვილი მიზეზის, სტანდარტულზე 14 სანტიმეტრით დაბალი ძელის გამო, მოსკოვის „სპარტაკისა“ და შვეიცარიის „სიონის“ მატჩი ახლიდან ჩატარდა. ეს ის იშვიათი შემთხვევა იყო, როცა ჩვენი სიმპატიებიც კი ჩვენი დაუძინებელი მეგობრების მხარეს იყო. სხვა თუ არაფერი, ქართველებზე უკეთ ვის მოეხსენება, რაოდენ მწარეა ფეხბურთის მოედანზე მოპოვებული გამარჯვების შემდეგ უეფას დამამცირებელი განაჩენის მოსმენა.

ცხადია, რუსეთი აღშფოთდა. ჯერ იმით, რომ გადათამაშება დაუნიშნეს და მერეც კიდევ, რომ ეს გადაწყვეტილება „სიონსაც“ არ მოეწონა — რა ახალი მატჩი, პირდაპირ 0:3 აჯახეთ მაგ დაბალი ძელების პატრონებსო. საქმე იქამდეც მივიდა, რომ მოსკოვის პოლიცია საგანგებოდ მოემზადა ამ დღისთვის — სასტუმრო, სადაც შვეიცარიის ჩემპიონი გაჩერდა, დღითა თუ ღამით ომონელებით იყო გარშემორტყმული. მანამდე კი, აეროპორტში, „სიონს“ სპარტაკელი ფანები დიდი პლაკატით შეეგებნენ — კეთილი იყოს თქვენი ჯოჯოხეთში ჩამოსვლაო.

სამართალმა პური ჭამა. თან ისე ბარაქიანად, შვეიცარიელებიც კი მიხვდნენ. ალბათ ნანობდნენ კიდეც — 2:2 და ქვეყნის მარაგში ის ერთი ქულა შეგვერგო, რა გვრჯიდაო. „სპარტაკი“, იმავე „ლოკომოტივის“ (ოღონდ უკვე სტანდარტულძელებიანი კარებებით) გაძეძგილი ტრიბუნების მხარდაჭერით, შეუჩერებელი იყო და პირველივე ტაიმში გაარკვია ყველაფერი: ბუზნიკინის (5), ტიტოვის (34) და კეჩინოვის (40) გოლებს სტუმრებმა ვერაფრით უპასუხეს, მე-60 წუთზე ტიხონოვმა 4:0 გახადა, 84-ეზე კი რომაშენკომ 5:1. ამათ შორის სიონელმა კამადინმა (65) ერთი შეაგდო და ერთხელაც სტუმრებმა ხარიხას მოახვედრეს ბურთი. ასეა: თუ თავი არ გაქვს, გინდ რაგბის კარი დაიყენოს მეტოქემ, მაინც ვერას გახდები.

ბოროტსა სძლია კეთილმანო, ამაზეა ნათქვამი. აღმაშფოთებელი მხოლოდ რუსი ტელეკომენტატორების რეპლიკები იყო — ღარიბები ვართ და ეს უეფაც მდიდრების მხარეზე არის, ახლა იტალიასთან დაგვჩაგრავენო. ყველაფრით მდიდარი ქვეყანა რომ თავს სხვის სარჩენად გაიხდის, მეტის ღირსია. ეს ისე, შენიშვნისთვის, „სპარტაკი“ კი უეფას თასის მეთექვსმეტედფინალში „ვალიადოლიდს“ შეხვდება.

## დიმა გუნდს დანიისკენ გაუძღვა

RUGBY WORLD CUP 1999

საქართველოს რაგბის ნაკრების კაპიტანმა დიმა ობოლაძემ რაგბის კავშირის ხელმძღვანელობის რჩევით მოთამაშეობაზე ერთი პირობა ხელი აიღო და „ბორჯღალოსანთა“ ერთ-ერთ მწვრთნელად დადგა. ამის გამო არ უთამაშია კვირას, მსოფლიო თასის პირველ შესარჩევ მატჩში, რომელშიც ქართველებმა ხორვატია ძლიეს.

ის თამაში სანახავად რომ ვერ ვარგოდა, გაითვალისწინა ეროვნული გუნდის ქართველმა მწვრთნელმა გურამ მოდებაძემ და დიმას ზეგ, კოპენჰაგენში, დანიასთან სათამაშოდ დაყენებას უპირებს. იგივე მოელის რუსთაველ შუამარბ პალიკო ჯიმშელაძესაც და კიდევ დანიას საფრანგეთიდან უთუოდ ჩავა მეორეხაზელი ვანო ნადირაძე.

რაკი ქართველებს სამი ოსტატი შეემატათ, სახორვატიოდ შეგულვებულ 22 კაციდან სამი ამოვარდა. ესენი არიან ირაკლი გიორხელიძე, ნონო ანდღულაძე და რატი ურუშაძე.

გუშინ ფრანკფურტის რეისს გაყოლილი ქართული დელეგაციის სრული შემადგენლობა კი ასეთია: ბიძინა გეგიძე (რაგბის კავშირის პრეზიდენტი), გია კუბლაშვილი (კავშირის გენერალური მდივანი), თენგიზ რუხაძე (ვეტერან მორაგბეთა თავჯაცი), კლოდ სორელი (ფრანგი მწვრთნელ-კონსულტანტი), გურამ მოდებაძე (მწვრთნელი), ბესო აბრამიშვილი (ექიმი); უკანა ხაზი — ნიკო იურინი (რუსეთი), მახო ურჯუკაშვილი (გუმარი), პალიკო ჯიმშელაძე (აზოტი), კახა ალანია (ქორები), არჩილ ქავთარაშვილი (იტალია), კახა მაჩიტიძე (ყოჩები), შოთა მოდებაძე (გუმარი), ილო მაისურაძე (გუმარი), ბესო ტეფნაძე (ყოჩები); მორკინალები — კაკო მაჭუტაძე (ქორები), მევლუდ მთიულიშვილი (აზოტი), ლევან ცაბაძე (საფრანგეთი), გია რაფავა (საფრანგეთი), ვანო ნადირაძე (საფრანგეთი), გია ლაბაძე (რუსეთი), ზურაბ მჭედლიშვილი (გუმარი), დიმა ობოლაძე (გუმარი), ნიკა აბდალაძე (აზოტი), ზაზა ლეჟავა (ყოჩები), აჩიკო ჟობახიძე (ქორები), ვიქტორ დიდებულიძე (გუმარი) და ლევან ჯაველიძე (გუმარი).

## წუთელი

ფეხბურთი. *გერმანიის ჩემპიონატი.* X ტური. დუისბურგი — ჰანზა 0:1, კაიზერსლაუტერნი — არმინია 3:1, ბაიერნი — შტუტგარტი 3:3, გლადბახი — მიუნხენ 1860 5:1. *ჰოლანდიის ჩემპიონატი.* X ტური. აიაქსი — ბრედა 1:0 (ვიჩზე 84), ვალვაიკი — ნაიმეგენი 0:0, უტრეხტი — ჰერენვენი 2:4, როდა — ეინდჰოვენი 2:2, გრააფსხაპი — სპარტა 2:2. *იტალიის თასის მერვედფინალი. პირველი მატჩები.* ატალანტა — ბოლონია 3:1, ფიორენტინა — პესკარა 1:0, უდინეზე — რომა 2:2, პიაჩენცა — ინტერი 0:3, პარმა — ბარი 2:1, იუვენტუსი — ლეჩე 2:0.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ
„დინამო“
15 ოქტომბერი

**ᲑᲐᲗᲣᲛᲘ 5:2 ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲗᲘ**

**ᲑᲐᲗᲣᲛᲘ:** ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, სიჭინავა, შეყილაძე (შანიძე 75), კანტიძე (აფხაზავა 68), მ. მახარაძე, ქიქვეიშვილი, მაჭუტაძე, ჩუხუა, მაქაცარია (ლლონტი 40)
**ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲗᲘ:** მერკვილიშვილი (ნიქაბერიძე 68), ბინაძე, ჟვანია, მოსიკაშვილი, ფოცხვერაშვილი, კაციაშვილი, სულაკაძე (მორალიშვილი 46, კაკაბაძე 77), მაღრაძე, ზაქარეიშვილი, ტოკლიკიშვილი, ხეტეშვილი
1:0, 2:0 მაჭუტაძე (14, 25), 3:0 სიჭინავა (55), 4:0 აფხაზავა (65), 4:1 კაციაშვილი (67პ), 4:2 მაღრაძე (77), 5:2 ტოგონიძე (86პ)
**ᲛᲡᲐᲯᲘ:** გ. ასკარ-ოღლი (ქარელი)

# ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ, ᲚᲐᲦᲐᲓ, ᲚᲐᲛᲐᲖᲐᲓ

**ᲑᲔᲡᲘᲙ ᲯᲐᲜᲒᲐᲕᲐᲫᲔ ბათუმიდან**

„ბათუმმა“ ამ მატჩში თვითონაც ითამაშა და მეტოქეც ათამაშა. არადა, დასაწყისში ისე შეუტია, შთაბეჭდილება რჩებოდა, გამუდმებულ შტურმზე გადავაო. მაგრამ, როდესაც უკვე მეორე წუთზე ჩუხუას დარტყმა გაუცუდდა და ცოტა ხანში პირისპირ გასულ ზესტაფონელ მაღრაძეს ტოგონიძემ აუღო, მასპინძლებმა უკან დაიხიეს, მეტოქეს ბურთის გათამაშების და შეტევის წამოწყების საშუალება მისცეს. ამას მათი ელვისებური კონტრშეტევები შლიდა. თითქმის მთელი პირველი ნახევარი მასპინძლებმა ამ სტრატეგიით ითამაშეს და საბოლოო ჯამში არც შემცდარან. ის იყო, მარგველები შეტევის დაწყებას აპირებდნენ, რომ ფოცხვერაშვილის გადაცემა სიჭინავამ ჩაჭრა, უმალ მონახა მარცხენა ფლანგზე გახსნილი ჩუხუა, მან კი კარის წინ ეულად მდგომ მაჭუტაძეს ზედ ფეხზე დაუსვა ბურთი და ანგარიშიც გაიხსნა. ათიოდ წუთში მასპინძლებმა იგივე ფანდზე წამოაგეს სტუმრები. ამჯერად კანტიძემ იმარჯვა: მოედნის ცენტრიდან ზუსტი პასით ისევ მაჭუტაძე დატოვა მეკარესთან პირისპირ, რომელსაც ანგარიშის ორამდე გაზრდა არ გასჭირვებია. ორმა გაშვებულმა გოლმა ზესტაფონელებზე ყველასდა გასაკვირად, დადებითად იმოქმედა, მათაც მასპინძლებივით თავისუფლად, ლაღად გაშალეს თამაში და რომ არა ტოგონიძე, პირველსავე ნახევარში შეძლებდნენ ანგარიშის გათანაბრებას...

მეორე ნახევარი კიდევ უფრო შთამბეჭდავი და უხვგოლიანი გამოდგა. 55-ე წუთზე სიჭინავა მოედნის ცენტრში დაეუფლა ბურთს, საჯარიმოს ხაზამდე ისე მიაღწია, წინააღმდეგობას არც გადაეყარა, დარტყმაც ძლიერი გამოდგა და მერკვილიშვილი უძლური იყო, რამე ელონა.

65-ე წუთზე მოედნის შუაგულში ერთი შეხებით გათამაშებული კომბინაცია ახლად შემოსულმა აფხაზავამ ბურთთან ლამის პირველივე შეხებით გოლით დაასრულა.

67-ე წუთზე ზესტაფონელმა ფორვარდმა დრიბლინგით, აუარა გვერდი რამდენიმე მცველს, რომლებსაც ისღა დარჩენოდათ, წესის დარღვევით შეეჩერებიათ იგი. კაციაშვილმა ზუსტად დაარტყა პენალტი.

77-ე წუთისთვის სტუმრები კიდევ უფრო გააქტიურდნენ. ხეტეშვილი მარჯვენა ფრთაზე გაიჭრა, კარის გასწვრივ ჩაჰკიდა და მაღრაძემ თავური დარტყმით ბურთი მეკარის მოძრაობის საპირისპირო მხარეს გაახვია ბადეში.

86-ე წუთზე გვირგვინი ყოველივეს ბათუმელთა მეკარემ დაადგა. კოლეგა ტოგონიძეს კუთხეს კი მიუხვდა, მაგრამ ვერ კი მისწვდა.

შუალედებში კიდევ მრავალი საგოლე მომენტი შეიქმნა. კარგი იყო: ყველაფერი სწრაფად, ლაღად და ლამაზად ხდებოდა.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
„26 მაისი“
14 ოქტომბერი

**ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ 2:1 ᲒᲣᲠᲘᲐ**

**ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ:** ვოლკოვი, ქვარცხავა, ბარნოვი, კ. ჩიგოშვილი, ბაქრაძე, ერაძე (ვასაძე 60), გ. კვეტენაძე, ქველაძე, დაუშვილი (ახალაძე 89), გამცემლიძე, ენუქიძე (ჟორჟიკაშვილი 39)
**ᲒᲣᲠᲘᲐ:** გოგუა, ლურნკაია, კვავჭკირი, კუკულაძე, ჯაშიაშვილი, თიბილაშვილი, ქიქავა (თ. გოგიჩაიშვილი 46), განევი, ჩხეტია, გ. ჭელიძე, ბულუხია
1:0 დაუშვილი (22), 2:0 ერაძე (40), 2:1 ბულუხია (90)
**ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ:** ბარნოვი, კვეტენაძე, ლურნკაია
**ᲛᲡᲐᲯᲘ:** თ. ლაცაბიძე (სურამი)

# ᲮᲔᲖᲔ ᲐᲡᲕᲚᲐ ᲐᲠ ᲣᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲐ

**ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ**

სათაური ნუ გაგიკვირდებათ. თავის დროზე ლოკომოტიველთა ამჟამინდელი მწვრთნელის თემურ მახარაძის შეგირდი სწორედ ის ავთო ნარიაშვილი იყო, რომელიც დღეს „გურიას“ წვრთნის. ფეხბურთს თავდანებებულ ნარიაშვილს გული სწორედ თემურ მახარაძემ მოუტრიალა, ცოტა მწვრთნელობის საიდუმლოც ასწავლა და გუშინწინ ოსტატი და შეგირდი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ოსტატმა გაიმარჯვა. თანაც ისე, გურულებს პირველსავე ტაიმში რომ გადაუწურა ყველანაირი იმედი. თუმცა, თბილისელთა პირველ გოლამდე სტუმრებს ისეთი მომენტი შეექმნათ ანგარიშის გასახსნელად, ნაღდი იყოო, რომ ვიტყვით ხოლმე, მაგრამ მეკარესთან თითქმის პირისპირ დარჩენილ გურულ თავდამსხმელს ბარნოვმა წაუკრა ბურთზე ფეხი და განმუხტა სიტუაცია. სულ ეს იყო, რაც ლანჩხუთელებმა მოასწრეს. მასპინძლები უპირატესობას დაეუფლნენ და ორჯერაც იხეირეს. მათგან მეორე გოლის სილამაზეს კი კალამი ვერ აღწერს. კვეტენაძემ და დაუშვილმა ერთმანეთს კედელი გაუთამაშეს, კვეტენაძემ ერთი მცველიც გააპამპულა, საჯარიმოში ჩაჰკიდა და ერაძემ თავით შეაგდო. ეს მოკლედ, მაგრამ ვინც ტრიბუნიდან იხილა ეს გოლი, დამეთანხმება, იშვიათი სილამაზის რომ იყო. რაც შეეხება დაუშვილის პირველ გოლს, იგი უფრო შემთხვევითობას წააგავდა — ჩიგოშვილის დარტყმული მცველმა აისხლიტა, გოლისგამტანს მიუგორდა და მანაც დაუყოვნებლივ გახსნა ანგარიში. საინტერესო არც ტაიმის დამთავრებამდე დარჩენილ დროში მომხდარა რამე და არც შესვენების შემდეგ. ეგ იყო, მასპინძელი დაუშვილი თავით ეცადა გოგუასთვის თავზე ბურთის გადაგდებას, მაგრამ ააცილა, შემდეგ ჟორჟიკაშვილმა ვერ მიაწოდა ზუსტად ვასაძეს და მომენტიც გაცუდდა, ბოლო წუთზე კი ბულუხიამ ულამაზეს, ცხრიანში დარტყმით ხალხს აფიქრებინა, მახარაძეს ოდენ ხეზე ასვლა არ უსწავლებია ნარიაშვილისთვისო.



[illegible] ფოტო

ერაძემ (მარცხნივ) მეორე გოლის გატანით გურულებს ხელი მოუთავა

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ
„მაღაროელი“
14 ოქტომბერი

**ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲘ 1:0 ᲛᲝᲠᲙᲘᲜᲐᲚᲘ**

**ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲘ:** გველესიანი, კიპაროიძე, იობაშვილი, ახანიძე, მ. გაბრიჭიძე, ტეფნაძე, შეყლაშვილი, ბუიშვილი, თ. სამხარაძე, კავთელაძე, მწყრაშვილი (მენაბდიშვილი 88)
**ᲛᲝᲠᲙᲘᲜᲐᲚᲘ:** გვარამაძე, ამბიძე (აბაზაძე 70), კვლიშვილი, ი. ვაშაკიძე, ასპინძელაშვილი, კაპანაძე (ლაპიაშვილი 26), პეტრიაშვილი, ცომაია, კ. გოგოლაძე, ჭუმბურიძე, გოჩაშვილი (დვალიშვილი 60)
1:0 ამბიძე (66 ს.კ.)
**ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ:** კავთელაძე, კვლიშვილი, გოგოლაძე
**ᲒᲐᲫᲔᲕᲔᲑᲐ:** კვლიშვილი
**ᲛᲡᲐᲯᲘ:** შ. ხანიაშვილი (თბილისი)

# ᲒᲐᲜᲒᲔᲑᲐᲐ ᲗᲣ ᲠᲐᲐ?

**ᲑᲔᲡᲘᲙ ᲯᲐᲜᲒᲐᲕᲐᲫᲔ ჭიათურიდან**

მატჩის შედეგს ორივე გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: სტუმრები ლიდერთა შორის პოზიციის განმტკიცებას ლამობენ, მასპინძლებს კი ჯგუფში ყოფნა-არყოფნის საკითხი უდგათ დღის წესრიგში. შესაბამისად, მატჩიც მძაფრი, ერთობ დაძაბული გამოდგა.

პირველ 15 წუთში, ორივე გუნდის გაშმაგებული მცდელობის მიუხედავად, უპირატესობა ვერც ერთმა მოიპოვა, პირველი სახიფათო დარტყმა კი მასპინძელმა ნახევარმცველმა ჯუმბერ ბუიშვილმა განახორციელა, მე-17 წუთზე. მან მცველთა შეუთანხმებლობით კი ისარგებლა, მაგრამ გვარამაძემ ზედ ცხრიანიდან ჩამოუხსნა ბურთი.

თბილისელები საკმაოდ ბევრს მოძრაობდნენ, თითქოს ტაქტიკურადაც სჯობდნენ მეტოქეს, მაგრამ თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში რიგიანი ვერაფერი მოიმოქმედეს. მასპინძელთა ლიბერო დავით იობაშვილი, ფაქტობრივად, მარტო უმკლავდებოდა მორკინალთა შეტევებს — სწორედ მას მხოლოდ მას უნდა უმადლოდნენ მაღაროელები, რომ პირველი ნახევარი დიდი ანგარიშით არ წააგეს.

მასპინძლები უფრო სახიფათოდ უტევდნენ. ჯერ კიპაროიძემ მოსინჯა გვარამაძის მზადყოფნა შორეული დარტყმით, შემდეგ კი შეყლაშვილის თავური ოდნავ ასცდა კარს.

ჭიათურელებმა რომ იგრძნეს, ისე არ წვიმს, როგორც ქუხს და „მორკინალის“ ძლევა სავსებით შესაძლო საქმეაო, მეორე ნახევარში კიდევ უფრო გაამწვავეს შეტევები. ერთ-ერთი იერიშისას განაპირა მცველმა გაბრიჭიძემ იაქტიურა — ბრწყინვალე პასით მარჯვენა ფლანგზე გარღვევაზე გაიყვანა სამხარაძე, ამან დაუხანებლად საჯარიმოში, კარის გასწვრივ ჩაჰკიდა ბურთი, ყველაზე ადრე მასთან ამბიძე კი გაჩნდა, მაგრამ საკმაოდ უხეიროდ გაისარჯა — მისი ზურგიდან ასხლეტილი ბურთი კარის ბადეში გაეხვა.

მალე სტუმრები ათნი დარჩნენ, მაგრამ თითქოს არაფერი მომხდარაო, მატჩის გადასარჩენად ყველაფერი მოიმოქმედეს, ზოგჯერ დაუშვებელიც კი, თუმცა იობაშვილს და კომპანიას ვერა დააკლეს რა. ერთი ხანობა მინდორზე სიტუაცია ისე დაიძაბა, ვნებათაღელვამ ლამის ტრიბუნებზეც ააღწია, მაგრამ, საბედნიეროდ, სტუმარიც და მასპინძელიც დროზე მოეგო გონს და ექცესიც არ მომხდარა.

ისე, განგებაა თუ რაა, ჭიათურაში ორივე ნაკრების მეკარემ ითამაშა და ორივე საკუთარმა მცველმა გააწბილა: ბათუმელი ტოგონიძე მისმავე გუნდისთავმა მახარაძემ დასაჯა, ამჯერად კი გვარამაძეს ამბიძემ აწყენინა. ორივე მატჩში მასპინძლებმა ამ თითო გოლის წყალობით მიაღწიეს გამარჯვებას

სტუმართათვის ეს პირველი საგარეო მარცხი იყო ამ სეზონში.

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ
ცენტრალური
15 ოქტომბერი

**ᲝᲓᲘᲨᲘ 1:0 ᲛᲔᲠᲐᲜᲘ**

**ᲝᲓᲘᲨᲘ:** გაბელია, ახვლედიანი, ლურსმანაშვილი, ანჯაფარიძე, ტყემალაძე, ებრალიძე, ჩადუნელი, ენდელაძე, კაიდარაშვილი (ივეჩიანი 58, თოლორდავა 81), წიტაიშვილი (რუვაზიშვილი 89), კალანდაძე
**ᲛᲔᲠᲐᲜᲘ:** გვენცაძე, ჯიშკარიანი, გოგიტაძე, სოდამონიძე, კაკუბავა (ბუხრიკიძე 88), გელა ქორიძე, ინიაშვილი, ცქიფურიშვილი, ბაბულაიძე, გოდერძიშვილი (დანელია 77), დავითაშვილი (ე. ალადაშვილი 86)
1:0 ენდელაძე (89)
**ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ:** ჯიშკარიანი, დანელია, დავითაშვილი
**ᲛᲡᲐᲯᲘ:** პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

# ᲐᲠ ᲒᲔᲙᲐᲓᲠᲔᲑᲐ, ᲛᲔᲠᲐᲜᲝ

**ᲘᲣᲖᲐ ᲙᲐᲪᲘᲢᲐᲫᲔ ზუგდიდიდან**

კარგი ყოფილა „ოდიში“... უმეგრელებოდ. ამ სიტყვებისთვის დიდ, დიდ ბოდიშს მოვითხოვ, მაგრამ არა მგონია, ვცდებოდე. ფაქტი ხომ ჯიუტია. აბა ერთი გადახედეთ ზუგდიდელთა შემადგენლობას. ორი-სამი ადგილობრივის გვარს თუ ამოიკითხავთ. არადა, ასე წინგაჭრილი, სატურნიროო კიბის თავში მოქცეული „ოდიში“ გინახავთ?! აღარ გავაგრძელებ, ზუგდიდელებს მართლაც დიდი მიზნები აქვთ დასახული მიმდინარე გათამაშებაში და ჯერჯერობით სწორ გზასაც ადგანან.

გუშინდლამდე „ოდიშს“ შინ არავინ გაუხარებია, რა თქმა უნდა, აქ მეტოქეები მყავს მხედველობაში და ახლა გამონაკლისს რად დაუშვებდა? თუმცა, ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ მანამდე „მერანის“ სიძლიერის გუნდი ზუგდიდში სათამაშოდ არ ჩასულიყო. მოკლედ, სტადიონზე მისული სამი ათასამდე მაყურებელი საინტერესო თამაშის საცქერლად განეწყო. მატჩმაც ხომ გაამართლა.

მერანელები მაგრად დაუხვდნენ მასპინძლებს. მართალია, პირველი სახიფათო იერიში ზუგდიდელებმა განახორციელეს, როცა ანჯაფარიძის ჩაწოდებულზე თბილისელთა მცველს საკუთარ საჯარიმოში ბურთი აეჭრა, წიტაიშვილმა კი ამ მომენტით ვერ ისარგებლა, მაგრამ ერთ წუთში არანაკლებ სახიფათო სიტუაცია „ოდიშის“ კართანაც შეიქმნა. კაკუბავას გამჭოლი გადაცემის შემდეგ გოდერძიშვილმა დასწრებაზე ითამაშა, თაურიც კარგი გამოუვიდა, ოღონდ ოდნავ ააცილა. მე-10 წუთზე დავითაშვილმა ბოლომდე იბრძოლა ბურთისთვის და ზედ კიდიდან საჯარიმოში ჩაწოდებაც მოახერხა, იქ ბურთს გოდერძიშვილი დაუხვდა, ძლიერადაც დაარტყა, მაგრამ ახვლედიანმა იყოჩაღა, ლამის კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი. ხუთი წუთიც არ გასულა, რომ ასევე მოიქცა გოგიტაძე, როდესაც კალანდაძის შორიდან დარტყმული მოიგერია. ჩამოთვლილ მომენტებში გოლი რომ არ გასულა, კიდევ არაფერი. აი, 28-ე წუთზე ენდელაძემ მართლაც რომ ნაღდი შანსი გაუშვა ხელიდან. მან ორი მცველი მოატყუა საჯარიმოში და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ვერ გაიტანა — გვენცაძემ ითამაშა ჩინებულად. მერანელთა გოლკიპერმა შესვენებამდე კიდევ ერთხელ ისახელა თავი — კალანდაძეს აუღო ურთულესი ბურთი. უქმად არც ახალგაზრდა გაბელია მდგარა. ქორიძეს მარცხენა ზედა კუთხიდან ჩამოუხსნა ბურთი. ასე, ორმხრივ იერიშებში გასრულდა პირველი ტაიმი.

თამაშს არც მეორეში მოკლებია სიმწვავე. 65-ე წუთზე ენდელაძემ მარჯვენა ფლანგიდან შეუტია, მერე სტუმართა საჯარიმოში ჩააწოდა დაბალი, წიტაიშვილმა ეფექტურად — ჰაერში გაწოლილმა წაშველა თაური და კვლავ გვენცაძემ ივაჟკაცა. ეს იყო და სტუმრებმა იმძლავრეს. ხუთ წუთში ზედიზედ სამჯერ შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, მაგრამ ორჯერ გოდერძიშვილს არ გაუმართლა, ერთხელაც ქორიძეს გაბელიამ აჯობა.

მატჩის უკანასკნელი 10 წუთი კი მთლიანად მასპინძლებისა იყო. მერანელები ანგარიშის შენარჩუნებაზე გადავიდნენ, „გოლდორა“ და „აბრეზაც“ (ყველაზე აქტიურები) გამოცვალეს. ზუგდიდელები „მერანის“ ნახევარზე დასახლდნენ, მაგრამ მაინც ვერ ხეირობდნენ. თამაშის დრო კი იწურებოდა და... არ გინდა იღბალი?! ზუგდიდელებმა კუთხური მოწოდეს, ბურთი ჩადუნელს ჩაუვარდა და მანაც უმალ კარისკენ გაგზავნა, მცველმა მოიგერია... პირდაპირ ახვლედიანზე, ამანაც ერთი შეხებით საჯრიმოში შეაბრუნა, სამეკარეოს კუთხესთან თოლორდავამ იმარჯვა, კარში დაარტყა, გვენცაძემ ახლაც მოიგერია, მაგრამ გადმოვარდნილს ენდელაძემ მიუსწრო და... აქ კი აირია მონასტერი. მასპინძლები ხარობდნენ, სტუმრები კი მსაჯებს მისცვივდნენ, აქაოდა, გოლი თამაშგარედან გავიდაო. არადა, მსგავსი არაფერი ყოფილა. ზოგიერთმა მერანელმა თემიდის მსახურებზე ხელითაც კი გაიწია. ჯონი ჯანელიძემ 5 წუთი მაინც მოანდომა თავისიანების დაწყნარებას. სხვათა შორის, უკვე თამაშის შემდეგ სწორედ ბატონმა ჯონიმ გვითხრა, თამაშგარეზე პრეტენზია არ გვაქვსო. წაგებით კი, ეს თამაში ნამდვილად არ უნდა წაგვეგოო. მისმა ზუგდიდელმა კოლეგამ ბადრი თუთბერიძემ კი თამაშის შედეგი ლოგიკურად მიიჩნია. ჩემმა ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლესო.

თუთბერიძემ ისიც დასძინა, მომდევნო თამაშზე „ტორპედოსთან“ მოსაგებად ჩავალთო.

ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲘ
„თამაზ სტეფანია“
15 ოქტომბერი

**ᲡᲘᲝᲜᲘ 2:0 ᲡᲐᲛᲒᲣᲠᲐᲚᲘ**

**ᲡᲘᲝᲜᲘ:** ჩლაიძე, გ. ჩომახიძე, ყაველაშვილი, უკლება, ნიკლაური, ტრაპაიძე (მ. სამხარაძე 81), ხოსროშვილი (ჯაფარიძე 80), შაკიაშვილი, მ. გოგოლაძე, ტყავაძე, ტარტარაშვილი
**ᲡᲐᲛᲒᲣᲠᲐᲚᲘ:** ბობოხიძე, ლ. ქობულაძე, ი. ხაჭაპურიძე, კოლუაშვილი, გ. ჯანელიძე, ძაგნიძე (ფრანგიშვილი), დ. ჭელიძე, სუხიაშვილი, დარსაძე (გელაშვილი 54), გიორგობიანი, კ. ჯანაშია (თევდორაძე 54)
1:0 შაკიაშვილი (44), 2:0 ტყავაძე (66პ)
**ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ:** ყაველაშვილი, ქობულაძე
**ᲒᲐᲫᲔᲕᲔᲑᲐ:** ქობულაძე
**ᲛᲡᲐᲯᲘ:** ე. სილაგავა (თბილისი)

# ᲙᲐᲠᲒᲘᲐ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠᲝᲑᲐ

**ᲛᲔᲠᲐᲑ ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ბოლნისიდან**

ბოლნისელებს საშინაო შეხვედრებში ნებისმიერ მეტოქესთან ერთი დიდი უპირატესობა აქვთ — უაღრესად ერთგული გულშემატკივართა თანადგომით მას წინააღმდეგობის უნარს უკარგავენ. გულშემატკივრებს კი თავჩანთი ბელადი ჰყავთ — დავით ასათიანი, რომელიც უკვე შვიდი თვეა, „სიონის“ ქომაგთა გაერთიანებას თავკაცობს. ისინი ბევრნი არ არიან, სულ რაღაც 20-30 კაცია, მაგრამ მოედანთან ახლოს მდებარე ტრიბუნები მათ შეძახილებს ეფექტს მატებს, ფეხბურთელებს კი ძალას. მაყურებელთა ერთგულება მობურთალ ბოლნისელთა მობილიზაციას უწყობს ხელს. აი, სულ ეს არის „სიონის“ მიერ მოპოვებულ ქულათა საფუძველი. თანამდგომთა გარეშე „სიონი“ რა იქნებოდა, ვერც წარმომიდგენია. ფეხბურთელები განსაკუთრებული ორგანიზებულობით რომ არ გამოირჩევიან, ამ შეხვედრაზეც გამოჩნდა. თავდაპირველად სტუმრები გაცილებით აქტიურნი ჩანდნენ. მეტს მოძრაობდნენ და უფრო აზრიანადაც, მაგრამ გაისმა „ასათიანის ლომების“ შეძახილები და თამაშის ხასიათი მაშინათვე შეიცვალა. ეს პირველი ტაიმის შუაწელს დაემთხვა, „სიონისთვის“ ყველაზე საჭირო დროს. ამის შემდეგ „სამგურალის“ კართან ხიფათს ხიფათი მოსდევდა. წყალტუბოელები კი აშკარად სუსტად გამოიყურებოდნენ.

გოლი ზედ ტაიმის მიწურულს გავიდა: ტრაპაიძის კუთხურიდან კართან ჩაკიდებულ ბურთს შაკიაშვილმა ზუსტი მისამართი მოუძებნა. მეორე ნახევარიც მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა. ოღონდ სტუმრები დაცვაში კიდევ მეტ შეცდომებს უშვებდნენ. ტყავაძემ და ხოსროშვილმა კარგი შესაძლებლობები დაკარგეს, მაგრამ ანგარიშის გაზრდა ისევ პირველმა მოახერხა — გოგოლაძის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ზუსტად გამოიყენა.

აღსანიშნავია, რომ 68-ე წუთიდან მსაჯის შეურაცხყოფისთვის წყალტუბოელი ქობულაძე გააგდეს, თუმცა, „სამგურალის“ მწვრთნელსა და პრეზიდენტს ელგუჯა სილაგავაზე ძვირი არ დასცდენიათ. გაძევებაც სამართლიანი იყო და ჩვენი წაგებაცო — იშვიათი სიტყვაა ძლეულთაგან, წაგება ხომ ძირითადად სხვას ბრალდება. წყალტუბოელთა ობიექტურობა ჭეშმარიტად იმსახურებს პატივისცემას.

ქუთაისი
„გიგი კოლაძე"
15 ოქტომბერი

ტორპედო — მეტალურგი

მამუკა კვანტალიანი

# ჯანყი რუსთავში

გუშინ რუსთავის „მეტალურგი" ქუთაისს სათამაშოდ არ წასულა.

ფეხბურთის ფედერაციას ეს ამბავი ადრევე სცოდნია და რიონისპირელებიც დროულად გაუფრთხილებია — 15 ოქტომბერს სტუმრებს ნუ დაელოდებით, მატჩი გადადებულიაო.

რამ გამოიწვია თამაშის გადადება? არაოფიციალურად უამრავ მიზეზს მოისმენდით — გუნდი მოიწამლაო. მოიწამლა კი არა, ქუთაისში გასამგზავრებელი ფული „მეტალურგს" არ გააჩნიაო. ზოგიერთები აზუსტებდნენ, ფეხბურთელები ამბოხდნენ, თამაშზე არ მიდიოდნენ და ქუთაისში მწვრთნელები ხომ არ წავიდოდნენო. იყო სხვა მოსაზრებებიც.

მოკლედ, საითაც უნდა გადაუხვიო, რუსთაველთა ყველა პრობლემა ერთ, მთავართან მიგიყვანთ: გუნდს უფულობა და უპატრონობა ახრჩობს. აქედან გამომდინარე, სწორედ ის ვერსია გამართლდა, რომელიც ფეხბურთელთა ბუნტის მაუწყებელი გახლდათ.

მოთამაშეებს ხელმძღვანელებისთვის მოუთხოვიათ, კუთვნილი ფული მოგვეცით და გვიპატრონეთ, თორემ არც შემდეგ მატჩზე გამოვალთო. ფეხბურთის ფედერაციაში ოფიციალურად ეს მოგვახსენეს: „რუსთავში არაორდინალური სიტუაცია შეიქმნა. ხვალ კლუბის ფეხბურთელები, მწვრთნელები და თავკაცები შეიკრიბებიან. კრებას მერიის ხელმძღვანელები გაუძღვებიან. ჩვენ ადრევე გვეცნობა ამის შესახებ და თამაშიც ამიტომ გადაიდო. როგორც ვიცით, ამ ამბავს რუსთაული გუნდის რამდენიმე ფეხბურთელიც შეიძლება შეეწიროს".

ასე იყო თუ არა, ღმერთმა უწყის, მაგრამ რატომ თამაშის დღეს გამოაშკარავდა ყოველივე? რა ახალი ამბავი ის იყო, რუსთაველები უსახსროდ რომ არიან. მერია და კრების ჩატარება თუ საქმეს შველის, ხომ კარგი, თუ არადა, დანარჩენიც მხოლოდ ფედერაციამ უწყის...

სხვათა შორის აქ წერტილის დასმაც შეიძლებოდა, რომ არა ერთი მიზეზი. ფედერაციის ერთი ვერსია ხომ მეტალურგთა ჯანყია, რაც ოფიციალურად მოგვახსენეს და ქუთაისელთათვის კი სხვა მიზეზი უცნობებიათ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ნოდარ ანდრიაძე ქუთაისის მერს დავით მელქაძეს შეხმიანებია და უთქვამს: თქვენი მეტოქე რუსთაველები მოიწამლნენ, ამაზე დროზე გვაცნობეს და მატჩი გადავუდეთო. ამაზე ქუთათურთა რეაქცია, ბუნებრივია, არაერთგვაროვანი ყოფილა. ყველაზე მეტად კი „ტორპედოს" მთავარი მწვრთნელი სერგო კუტივაძე აღშფოთებულა — რახანია შეხვედრა აღარ ჩაგვიტარებია და გუნდი როგორღა შევათამაშოო.

ერთსაც დავამატებთ. წელს არ იყო, „კახეთი" თითქოსდა სოკომ რომ მოწამლა და „მერანს" არ გამოუცხადდა? საწადელს კი ვერ მიაღწია, მაგრამ საქციელი ხაზვით შერჩა. ახლაც ასე იქნება, და არა ბოლოჯერ. ესღა გვიკვირს: უპოვარი გუნდების შემცირებაზე რომ მიდგება საქმე, ფედერაცია ჯორზე რატომ ჯდება. ასეთთა ყოლას არყოლა არა სჯობია?

## მეორე ჯგუფი

X ტური

სამეგრელო — იბერია 2:1
იმერეთი — ფაზისი 2:4
მერცხალი — ასკ 0:3
ჯუბა — საპოვნელა 4:1
ივერია — კოლხეთი 2:1
მეშახტე — აკადემია 0:0
ცხინვალი — სქური 5:0
კოდაკო — თორი 2:1
(88-ე წუთზე „თორმა" დატოვა მოედანი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ | 10 | 9 | 1 | 0 | 32:5 | 28 |
| ივერია | 10 | 7 | 1 | 2 | 32:12 | 22 |
| აკადემია | 10 | 6 | 3 | 1 | 27:13 | 21 |
| კოლხეთი | 10 | 6 | 2 | 2 | 24:16 | 20 |
| ჯუბა | 10 | 6 | 2 | 2 | 17:10 | 20 |
| თორი | 10 | 6 | 1 | 3 | 26:12 | 19 |
| მერცხალი | 10 | 6 | 1 | 3 | 19:16 | 19 |
| ცხინვალი | 10 | 6 | 0 | 4 | 28:14 | 18 |
| სქური | 10 | 6 | 0 | 4 | 19:21 | 18 |
| ფაზისი | 10 | 4 | 0 | 6 | 20:25 | 12 |
| მეშახტე | 10 | 3 | 1 | 6 | 16:16 | 10 |
| კოდაკო | 10 | 3 | 0 | 7 | 10:29 | 9 |
| სამეგრელო | 10 | 2 | 1 | 7 | 11:26 | 7 |
| იმერეთი | 10 | 1 | 1 | 8 | 14:40 | 4 |
| საპოვნელა | 10 | 1 | 0 | 9 | 8:29 | 3 |
| იბერია | 10 | 1 | 0 | 9 | 9:28 | -2 |

## მესამე ჯგუფი

დასავლეთი

VI ტური

ენგური — სულორი 5:0
ოქროს საწმისი — შუქურა 0:1
ეგრისი — ოდიში 2 2:2
ბათუმი 2 — სამგურალი 2 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ენგური | 6 | 4 | 2 | 0 | 12:3 | 14 |
| ეგრისი | 5 | 4 | 1 | 0 | 13:7 | 13 |
| გაგრა | 5 | 2 | 2 | 1 | 13:8 | 8 |
| შუქურა | 5 | 2 | 2 | 1 | 8:3 | 8 |
| სამგურალი 2 | 6 | 2 | 2 | 2 | 11:12 | 8 |
| ბათუმი 2 | 4 | 1 | 2 | 1 | 7:5 | 5 |
| ტორპედო 2 | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| სალხინო | 4 | 1 | 1 | 2 | 6:9 | 4 |
| ოდიში 2 | 6 | 1 | 1 | 4 | 6:11 | 4 |
| ოქროს საწმისი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:6 | 3 |
| სულორი | 5 | 0 | 0 | 5 | 3:19 | 0 |

ცენტრი

V ტური

მესხეთი — ვარძია 0:0
ქინერი — დინამო 2 3:2
მრეტები — 35 სტუ 4:2
ლოკომოტივი 2 — დილა 2 2:0
ბაია ქასქი — თსუ 2 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქინერი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:5 | 10 |
| ლოკომოტივი 2 | 5 | 3 | 0 | 2 | 11:5 | 9 |
| თსუ 2 | 5 | 2 | 2 | 1 | 7:7 | 8 |
| მესხეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 10:6 | 7 |
| დილა 2 | 5 | 2 | 1 | 2 | 8:8 | 7 |
| მრეტები | 5 | 2 | 0 | 3 | 8:13 | 6 |
| ვარძია | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| დინამო 2 | 3 | 1 | 1 | 1 | 7:5 | 4 |
| ბაია ქასქი | 5 | 1 | 1 | 3 | 2:6 | 4 |
| 35 სტუ | 5 | 1 | 1 | 3 | 7:13 | 4 |

აღმოსავლეთი

V ტური

სამგორი — ყვარელი 0:3
შირაქი — თელეთი 10:2
ხალიბი — ალგეთი 1:2
იბერია — ჭაბუკიანი 3:0
(ჭაბუკიანმა" დააგვიანა)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იბერია | 4 | 4 | 0 | 0 | 10:0 | 12 |
| ყვარელი | 4 | 4 | 0 | 0 | 9:0 | 12 |
| შირაქი | 5 | 3 | 1 | 1 | 15:5 | 10 |
| ალგეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 8 |
| ალაზანი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:2 | 7 |
| სამგორი | 5 | 2 | 0 | 3 | 7:11 | 6 |
| ხალიბი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:4 | 3 |
| ჭაბუკიანი | 5 | 0 | 0 | 5 | 0:11 | 0 |
| თელეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 4:23 | 0 |


სარეკლამო სააგენტო
კოკი და კომპანია
რეკლამის დამზადება
1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მოკლე ვადაში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო სათიბებზე რეკლამის განთავსება
კომპიუტერული მომსახურება
ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება
25% ფასდაკლებით!!!
მისამართი: ალ. ყაზბეგის 42. ვაჟიროების სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.
ტელ. 95 96 56


პოლონელებთან მატჩამდე იმდენი ვწერეთ, ვლადიმერ გუცაევმაც იმდენჯერ გვითხრა, 10 ოქტომბერს ამ გუნდის წევრთა უმეტესობისათვის ბოლო მატჩი იქნება ახალგაზრდულ ნაკრებშიო, რომ ჩვენებმა ისე გაამადლეს სტუმრები, — წარბიც არ შეუხრიათ. მართალია, ანგარიში ყველაფერზე მეტყველებს, მაგრამ თუ გონივრულად, თავდადებითა და მონდომებით არ ითამაშე, დიდი ანგარიშით გამარჯვება კი არა, მინიმალურ მოგებასაც ვერ მიაღწევ. ქართველებმა ყველა საფეხბურთო კომპონენტში დაჩაგრეს მეტოქე და ბოლო აკორდიც, როგორც აქამდე ვამბობდით, ღირსეული გამოდგა. სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, პირდაპირ ვლადიმერ გუცაევთან შეპირებულ ინტერვიუს შემოგთავაზებთ. შესარჩევ ჯგუფში მეორე ადგილის დაკავება, თანაც იტალიელების გადასწრებით, მგონი, ყველაფერზე მეტყველებს.

# მწვრთნელი ვარო, შენ უნდა თქვა...


ფოტო

**— გულახდილად თქვით, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მეორე ადგილი შემთხვევითობად მიგაჩნიათ თუ კანონზომიერებად?**

— ვისაც როგორ უნდა, ისე იფიქროს. ჩემი აზრით, ეს შედეგი შემთხვევითობა ნამდვილად არ იყო. ჩვენი წარმატებისა ჯერ კიდევ მაშინ ვირწმუნე, როცა ბათუმში ინგლისელებს ვუმასპინძლეთ. რაღაც წარმოუდგენლად დავმარცხდით, არადა, რომ მოგვეგო, დამეთანხმებით, პირველობაზეც რეალურად შეიძლებოდა ფიქრი.

ბუნებით მაქსიმალისტი კაცი ვარ და რასაც ახლა გეტყვით, სრული სიმართლეა: ჩემთვის გასაკვირი არასდროს იქნება, თუ საქართველოს ნებისმიერი ნაკრები შესარჩევ ჯგუფში მეორე ადგილზე გავა. რატომ უნდა გამიკვირდეს? ჩვენ ხომ ქართველები ვართ, უდიდესი საფეხბურთო ტრადიციების ქვეყანა. გაიხსენეთ, როგორი ფეხბურთელები გვყავდა, რამდენჯერ მიგვიღწევია დიდი წარმატებებისთვის. ყოფილი კავშირის დროსაც ასე იყო — „სპარტაკი", კიევის „დინამო" და ქართველები ვიყავით სათქმელი, თუ ვინმე იყო... არავისზე ნაკლებები არც ახლა ვართ. საქართველოს ყველა ნაკრებს მოეთხოვება, შესარჩევი თამაშები იქნება თუ სხვა ტურნირები, წარმატებას მიაღწიოს. მოკლედ, ახალგაზრდების შედეგი ლოგიკურია. გასაკვირი და შემთხვევითობა იყო-მეთქი, მაშინ ვიტყოდი, დავუშვათ, უზბეკეთის ნაკრების მწვრთნელი რომ ვყოფილიყავი.

**— შედეგის მიღწევაში, ალბათ, ნიჭიერმა თაობამაც შეგიწყოთ ხელი...**

— რა თქმა უნდა. კაცი ვერ დამარწმუნებს, ძლიერ მწვრთნელს უნიჭო ფეხბურთელები ჰყავს და კარგ შედეგს მიაღწიაო. ეს არასდროს მოხდება. ბულგარეთის ნაკრები ავიღოთ. ამერიკის მსოფლიოს ჩემპიონატამდე რას წარმოადგენდნენ, ყველას მოეხსენება — დიდი-დიდი, რომელიღაც სოფლის ნაკრებისთვის ძოეგო. წარმოიდგენდა ვინმე, '74-ში გერმანელებს რომ დაამარცხებდნენ? მაგრამ ეს მოხდა. ნიჭიერი ფეხბურთელები ჰყავდათ და იმიტომ. ვერც ახლა დავიჯერებ, რომ ბულგარელები ისევ იმ დონეზე გააგრძელებენ თამაშს. გერმანიის მაგალითი გავიხსენოთ: 74-ში ჩემპიონები გახდნენ ჰელმუტ შიონის ხელმძღვანელობით, ოთხი წლის შემდეგ კი ჯგუფიდანაც ვერ გავიდნენ იგივე მწვრთნელის ხელში. მაშინ ბეკენბაუერი, მაიერი, მიულერი იყვნენ და წარმატებაც მოვიდა. ნურც ერთი მწვრთნელი დაიტრაბახებს, სუსტი ფეხბურთელებით ამას და ამას გავაკეთებთო.

ჩვენს ნაკრებზე რა გითხრათ, თქვენ არ იცით, უნიჭიერესები რომ არიან? 16-დან 13 ისეთია, ნებისმიერ გუნდს დაამშვენებდა. ასეთი თაობა წამოვიდა და მჯერა, მომავალშიც ასე იქნება, რადგანაც ქართველები ვართ, გენში გვაქვს ლამაზი ფეხბურთის თამაში. მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ნამეტანს მოვინდომებთ და ვისჯებით ხოლმე. ფეხბურთელი თუ უნიჭოა, რაც გინდა ელაპარაკე და ავარჯიშე, მაინც არაფერი გამოგივა.

**— რვა თამაშიდან რომელს გამოყოფდით?**

— იტალიელებთან რუსთავის მატჩს. ასეთი დაძაბული თამაში კარგა ხანია, არ მინახავს. გულშემატკივარმა კიდევ კარგად არ იცის, მატჩამდე რა რთული სამუშაო ჩავატარეთ. ბიჭებს გამუდმებით, გამიზნულად სულ იმას ჩავჩიჩინებდით, იტალიელები თქვენზე ძლიერები არ არიან, ნურაფრის შეგეშინდებათო. დიდი ფსიქოლოგიური ბარიერის წინ ვიდექით. მაშინ გამოჩნდა ქართველი ფეხბურთელების სრული პოტენცია. ვინც ნახა იტალიელებთან თამაში, დამეთანხმება, რომ თითქმის უნაკლოდ ვითამაშეთ.

**— პოლონეთთან? მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე მითხარით, დარწმუნებული ვარ, გავიმარჯვებთო...**

— არა, იტალიელებთან შეხვედრას პოლონეთისას ვერ შევადარებ. თუმცა, არც ეგ იყო ურიგო ბურთაობა. რაც შეეხება ჩემს ნათქვამს, წინათგრძნობა მქონდა, ვიცოდი, პოლონელებს მოვუგებდით. ფეხბურთელობის პერიოდშიც ასე ვიყავი — გული მიგრძნობდა, როცა გოლი უნდა გამეტანა. პოლონელები, პირდაპირ გეტყვით, კატოვიცეში ბედად გადაგვირჩნენ, ორჯერ კი ერთი და იგივე არ განმეორდებოდა. მატჩამდე მხოლოდ ერთი მქონდა სანერვიულო — კიკნაძისა და ცქიტიშვილის ადგილას ვინ დამეყენებინა. როცა ყიფიანმა ორივე ფეხბურთელი დაგვითმო, გულზე მომეშვა და მოგებას წინასწარ შევეგუე. თუმცა, არ ვიქნები მართალი, რომ ვთქვა — ვიცოდი, ოთხბურთიანი სხვაობით გავიმარჯვებდით-მეთქი.

**— მომავალ შესარჩევ ციკლში გუნდი შეგითხელდებათ. საგაისოდ რას გიგრძნობთ გული?**

— ერთი ნამდვილად ვიცი — ძალიან ძნელი სამუშაო გველის. ხალხს ჰგონია, სულ ასე ვითამაშებთ, მართლებიც არიან, მაგრამ წარმოიდგინეთ, ფაქტობრივად ახალი გუნდის ჩამოყალიბება მოგვიწევს. ბოლოდროინდელი ნაცადი შემადგენლობიდან იაშვილი, მუჯირი, აშვეთია და ალექსიძე დარჩებიან.

ახლა რა აზრი აქვს ბევრ ლაპარაკს. ყველაფერი რეალობაა და უნდა შევეგუოთ. ძალას და ენერგიას არ დავზოგავთ უკეთესი შედეგისთვის, უკეთესი კი მხოლოდ პირველი ადგილი იქნება, სხვა ყველა — წარუმატებლობა. საამისოდ, პირველყოვლისა, რაც შეიძლება ბევრი ამხანაგური მატჩების ჩატარება გვჭირდება. უნდა გამოვცადოთ ფეხბურთელები. ჩემთვის სულერთია, ლიბანელებთან ვითამაშებთ თუ გერმანელებთან. მთავარი ახალწვეულ ფეხბურთელთა შემოწმება იქნება. მოლდოველებთან ამგვარი მატჩების ჩატარებაზე უკვე შევთანხმდით. ერთმანეთს დავუკავშირდებით და თარიღებს დავადგენთ, თუ, რაღა თქმა უნდა, ისევ ჩვენს ჯგუფში არ მოხვდნენ. რუსებს ერთხელ კიდევ უნდა შევხვდეთ, ამჯერად რუსეთში. ასე მოვილაპარაკეთ — ერთი თბილისში უნდა გვეთამაშა, ერთიც — სტუმრად. ინგლისელებიც გვეპატიჟებიან. ეტყობა, ისე ესიამოვნათ, ჯგუფში პირველ ადგილზე რომ გავიყვანეთ, იანვარში მოსამზადებლად გვეწვიეთო, ფაქსი გამოაგზავნეს. ერთი სიტყვით, მძიმე სამუშაო გველის. ჯერჯერობით სახაკოჰეოდ 24 ფეხბურთელი კი გვყავს შეგულებული, მაგრამ სელექციას კიდევ გავაგრძელებთ. უცხოეთში მოთამაშე ქართველთა სიაც უნდა გადავქექოთ. იქნებ, რომელიმე ხეირიან მოთამაშეს წავაწყდეთ საჯაიასა და ფოცხვერიას მსგავსად.

**— სწორედ ფოცხვერიაზე მინდოდა, განსაკუთრებით მეკითხა. საინტერესოა მთავარი მწვრთნელის აზრი მის შესახებ.**

— ფოცხვერია დადებითი პიროვნება, უნიჭიერესი ფეხბურთელი და ასე ვთქვათ, გუნდის არაფორმალური ლიდერია. ენა არ მომიბრუნდება, რაიმე აუგი ვთქვა მის შესახებ. ფეხბურთელებიც ასე ფიქრობენ. ინგლისში სათამაშოდ რომ ჩავედით, გეცოდინებათ, მიშა ლონდონში არ დაგვხვდა, არც მეორე დღეს ჩამოვიდა, მხოლოდ მატჩის წინა დღეს ჩამოაღწია. ბიჭები ნერვიულობდნენ, მიშა რატომ იგვიანებსო. როგორც კი ჩამოვიდა, ყველა დაწყნარდა. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, დიდი მომავალი აქვს. ამასწინათ „შახტიორის" მწვრთნელს შევეხმიანე, რატომ არ ათამაშებ ძირითადში-მეთქი, ვუთხარი. რაღაც მიპასუხა, ფოცხვერიაზე უკეთესი ფორვარდები მყავსო. რა უნდა ელაპარაკო, თუ მართლაც ასეა, აწყობილა „შახტიორის" საქმე და ეგაა. შეკრებას ისე გაივლიდა ხოლმე, ხმას ხან ამოიღებდა, ხან — არა. ფოთში მოლდოველებთან თამაშის წინ მისი ფეხი ვნახე, უმძიმეს მდგომარეობაში ჰქონდა. არც მეგონა, რომ ითამაშებდა, მაგრამ გუნდის ინტერესები წინ დააყენა, ტკივილი საერთოდ არ შეუმჩნევია, წყნარად, მშვიდად აკეთებდა თავის საქმეს. მის ადგილას ზოგიერთს თამაში კი არა, ვარჯიში დაეზარებოდა.

**— ფოცხვერიათი, გასაგებია, კმაყოფილი ხართ. სხვა ფეხბურთელების თამაშს როგორ შეაფასებდით? უფრო სწორად, რომელ რგოლს გამოჰყოფდით?**

— იცით, კარგ გუნდში სუსტი რგოლი არ უნდა იყოს. ყველანი თანაბრად მომზადებულები როცა იქნებიან, შედეგიც არ დააყოვნებს. ჩვენთან კი როგორ იყო საქმე? თამაშიდან თამაშამდე შემადგენლობის ნაწილობრივი ცვლილება გვიხდებოდა. ისეთი მატჩებიც გვქონდა, თავდამსხმელები ნახევარდაცვის ფლანგზე რომ გამოგვიყენებია. ქებაძე ავიღოთ, ალექსიძე, იგივე ფოცხვერია. არც ერთი არ არის ნახევარმცველი, მაგრამ იძულებულები ვიყავით, ჰავბეკებად დაგვეყენებინა. მიუხედავად ამისა, თავი არავის შეურცხვენია. ბოლო თამაშებში თავდამსხმელებს გამოვყოფდი, საერთოდ კი — მეკარესა და მცველებს. მართალია, დაცვის ხაზი ხშირად იცვლებოდა, ხუჯაძე, სილაგაძე, ცქიტიშვილი და დიდავა ერთი-ორჯერ კი დაშორდნენ ერთმანეთს, მაგრამ იმ თამაშებში, რომლებშიც ეს ფეხბურთელები იცავდნენ კარის მისადგომებს, შეცდომები ნაკლებად გახლდათ. მთელმა გუნდმა მონდომებით, ძალების სრული მობილიზაციით ჩაატარა შესარჩევი ტურნირი და, მიმაჩნია, თითოეული მათგანი მხოლოდ ქებას იმსახურებს. ახლა ის გამახსენდა, პოლონელებთან ბოლოჯერ ვთამაშობთ, გულშემატკივრებს თავი უნდა დავამახსოვროთ-მეთქი, რომ გითხარით. ბოლო თამაშით და მთლიანად შედეგით თუ ვიმსჯელებთ, მგონი, ასეც მოხდა.

**— თავად გარემარბად თამაშობდით, როგორც მწვრთნელი კი ორი ცენტრალური თავდამსხმელით თამაშს ამჯობინებთ. გარემარბთა ნაკლებობას განიცდით, თუ...**

— მითხარით, ვინ მოვიწვიოთ? არიან დღეს? გარემარბად უნდა დაიბადო, ვერ ისწავლი. მესხი, მეტრეველი... ყველას ბუნებრივი ნიჭი ჰქონდა. ხელოვნურად გარემარბი ვერ გახდები. ერთი დემეტრაძე იყო, ვიყენებდით კიდეც ამ პოზიციაზე სათამაშოდ, ისიც ნორმალურად ირჯებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო კარგა ხნით ჩამოგვშორდა. სხვა ჯერჯერობით არავინ ჩანს...

**— დაბოლოს, არ გკითხოთ, არ იქნება — ყიფიანმა ეროვნული ნაკრების მწვრთნელობაზე უარი თქვა. თქვენ რომ შემოგთავაზონ, დათანხმდებით?**

— როცა შემომთავაზებენ, მაშინ უფრო კონკრეტულად გიპასუხებთ. რეალური კაცი ვარ და ყველაფერს რეალურად ვაფასებ. ჯერ არავის არაფერი უთქვამს. ისიც გასარკვევია, ყიფიანმა რატომ იუარა ნაკრების თავკაცობა. ასე რომ, ამ თემაზე საუბარი მომავლისთვის გადავდოთ და რადგან ბოლო კითხვაა, ერთს დავამატებ: დიდ მადლობას ვუხდი მცხეთის რაიონის გამგეობას, მცხეთის სპორტკომიტეტს და პირადად მის თავმჯდომარეს, ბატონ ვიტალი გრძელიშვილს, საფეხბურთო კლუბ თსუ-ს ხელმძღვანელებს მირიან ცხვარაძეს და ოთარ გაბელიას, რომლებმაც უანგაროდ დაგვითმეს მცხეთის მშვენიერი სტადიონი და ყველანაირი პირობა შეგვიქმნეს ნორმალური მომზადებისთვის.

ამას რა სჯობს, კაცი მადლს დაინახავს და მადლობასაც საჯაროდ გადაიხდის. ეს კაცური, ადამიანური მომენტია. რაც შეეხება მწვრთნელ-გუცაევს, საუბრის დამთავრების შემდეგ ერთმა ნაცნობმა მანქანა გაუჩერა — ვაა, გავრილოვიჩ, მწვრთნელი ვარო, შენ უნდა თქვა, იცოდე, წლის საუკეთესო მწვრთნელობა არ აგცდება, გმადლობთ ასეთი სიხარულისთვისო. ასეა, სიკეთე და გონივრული გარჯა არავისთვის რჩება შეუმჩნეველი, მით უმეტეს, იმ კაცისა, რომლის ხელმძღვანელობითაც საქართველომ პირველად თავის ისტორიაში იტალიელები აატირა, გუნება წაუხდინა და უკანაც ღირსეულად მოიტოვა. ღმერთმა ინებოს, მომავალი ციკლის დაწყებისას ვლადიმერ გუცაევს ისეთივე წინათგრძნობა ჰქონდეს, როგორიც 10 ოქტომბერს.

**კობა ინასარიძე**

## გერმანია

X ტური

**ვოლფსბურგი 1:0 ვერდერი**
1:0 პრეგერი (90)

**დორტმუნდი 0:1 ლევერკუზენი**
0:1 ბაინლიხი (64)

**კიოლნი 0:2 შალკე**
0:1 მელდი (44), 0:2 მულდერი (86)

**ჰერტა 2:2 ბოხუმი**
1:0 დინზი (26), 1:1 კარლი (40ს.კ.), 1:2 ვოში (53), 2:2 ვან ბურიკი (63)

**ჰამბურგი 3:1 კარლსრუე**
0:1 ჟუეკი (33), 1:1 დემბინსკი (42), 2:1 გრამესენი (54), 3:1 იებოა (90)

ჩემპიონთა თასის მფლობელ დორტმუნდის „ბორუსიას" კრიზისული პერიოდი უდგას. ამაზე ნათლად მეტყველებს ის გარემოება, რომ გუნდმა ბუნდესლიგის ათ ტურში მეხუთე თამაში წააგო, რომელთაგან ოთხში ზედიზედ დამარცხდა. სამშაბათს დორტმუნდელებმა ლევერკუზენის „ბაიერს" უმასპინძლეს. ამ შეხვედრას „ვესტფალენშტადიონზე" 54 ათასი ადამიანი ესწრებოდა, რომელთაც მორიგი გაწბილება ხვდათ წილად. მათი გუნდის თამაში უხარისხო გამოდგა. ერთადერთი მომენტი ზამერის, როიტერის, კოლერის და რიკენის გარეშე მოთამაშე „ბორუსიას" ფეხბურთელებმა მე-14 წუთზე შექმნეს, როდესაც შვეიცარიელი ფორვარდი შტეფან შაპუიზა საჯარიმო მოედანზე შეიჭრა, მაგრამ მეტოქის გოლკიპერთან, დირკ ჰაინენთან დუელში დამარცხდა. გასული სეზონის ვიცე-ჩემპიონმა „ლევერკუზენმა" დორტმუნდში გამარჯვებით ერთობ გამოისწორა საქმე. ახალ ჩემპიონატში ამ გუნდსაც უხეირო სტარტი ჰქონდა, მაგრამ ახლა ალბათ გამოუსწორდება ხასიათი. მისმა ნახევარმცველმა შტეფან ბაინლიხმა 67-ე წუთზე ძლიერად შესრულებული საჯარიმო დარტყმით მასპინძელთა მეკარე შტეფან კლოსი ხახამშრალი დატოვა.

დორტმუნდის გუნდში შექმნილ კრიზისზე „ბაიერთან" შეხვედრის შესვენებისას მომხდარი ინციდენტი შედეგზე არანაკლებ მკაფიოდ მიგვითითებს. კერძოდ, გასახდელში ატეხილი კამათი ისე გამწვავდა, რომ გუნდის გავლენიანმა ფეხბურთელებმა იურგენ კოლერმა და შტეფან როიტერმა მწვრთნელს, ნევიო სკალას ღრიალი დაუწყეს. შედეგად, როგორც ვნახეთ, „ბორუსიამ" მეორე ტაიმში წააგო.

შეგახსენებთ, რომ იტალიელი მწვრთნელი ნევიო სკალა კლუბში ახალმისულია. მან გუნდის ხელმძღვანელის თანამდებობაზე შეცვალა გამოჩენილი ოტმარ ჰიცფელდი, რომლის ხელშიც „ბორუსიას" საშინაო თუ ევროპულ ასპარეზზე მრავალი დიდი წარმატებისთვის მიუღწევია. გასული სეზონის ბოლოს ჰიცფელდის გუნდიდან წასვლის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ფეხბურთელებთან ურთიერთობის გაუარესება გახლდათ.

ჰამბურგში კი ინგლისური „ლიდს იუნაიტედისგან" თავდაღწეული განელი ფეხბურთელი ტონი იებოა კარგად თამაშს განაგრძობს. ლიდსელი მწვრთნელების ჯინაზე მან უკვე მესამე გოლი გაიტანა ბუნდესლიგაში, ამჯერად „კარლსრუეს" კარში.

## ესპანეთი

VI ტური

**მალიორკა 0:1 ბარსელონა**
0:1 ლუის ენრიკე (5)

„ბარსელონამ" ისტორიის საუკეთესო შედეგი გაიმეორა — ჩემპიონატის სასტარტო ექვსი მატჩიდან ექვსი გამარჯვება. მიუხედავად ამისა, ესპანური ფეხბურთის თავმოყვარე გიგანტის თამაში შთამბეჭდავი არ გახლდათ. ამის დასტურად სტატისტიკა გამოდგება: „მალიორკამ" შეხვედრის განმავლობაში 20 კუთხური ჩააწოდა, „ბარსამ" კი — მხოლოდ ორი.

თამაშის ერთადერთი გოლი მეხუთე წუთზე გავიდა, როდესაც რივალდოს მიერ შორიდან დარტყმული ბურთი მასპინძელთა მეკარემ კიკემ ხელში ვერ დაიჭირა და ესპანეთის ნაკრების 27 წლის მოთამაშემ, ლუის ენრიკემ დასამატებლად მომენტი იხელთა. ამის მეტი „ბარსელონას" მომენტი არ ჰქონია.

მასპინძელთა საუკეთესო მომენტი პირველი ტაიმის დამთავრების წინ იყო, როდესაც „ბარსას" ნახევარმცველმა ივან დე ლა პენიამ ენრიკე რომეროს თაური ხაზიდან გამოიტანა — მეკარე ჰესპი იმ ეპიზოდში უკვე შეუძლო იყო. თამაშის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე კი გილერმო ამორმა საჯარიმოში ხუან კარლოს ვერონი წააქცია, რისთვისაც მსაჯმა პენალტი დანიშნა. თერთმეტმეტრიანის დარტყმა თეთრბოტასიანმა არგენტინელმა გაბრიელ ამატომ ითავა, მაგრამ სტუმართა მეკარემ რუუდ ჰესპმა აკრობატული ნახტომით გადაარჩინა სამი ქულა.

## ჰოლანდია

X ტური

**ვოლენდამი 0:3 ფორტუნა**
0:1 ჰამინგი (37), 0:2 ჟეფრეი (53), 0:3 ჰამინგი (90)

**გრონინგენი 2:2 ტილბურგი**
0:1, 0:2 კისეი (1, 44), 1:2 ბომბარდა (703), 2:2 კოენი (81)

**ფეიენოორდი 2:1 მაასტრიხტი**
1:0 ლიპერსი (3ს.კ.), 2:0 კორნეევი (45), 2:1 ლიპერსი (82)

## რუსეთი

31-ე ტური. ცსკა — როსტსელმაში 2:0; კრილია — ტიუმენი 1:0; ზენიტი — ბალტიკა 0:1; ტორპედო — დინამო 0:1; ჩერნომორეცი — ნ.ნოვგოროდი 3:0; კამაზი — ლოკომოტივი 0:2; ჟემჩუჟინა — როტორი 0:2; შინიკი — ალანია 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როტორი | 31 | 19 | 7 | 5 | 52:24 | 64 |
| სპარტაკი | 30 | 19 | 6 | 5 | 58:26 | 63 |
| დინამო | 31 | 18 | 9 | 4 | 42:17 | 63 |
| ჩერნომორეცი | 30 | 12 | 12 | 6 | 35:22 | 48 |
| ლოკომოტივი | 30 | 13 | 9 | 8 | 42:30 | 48 |
| კრილია | 31 | 13 | 7 | 11 | 28:26 | 46 |
| შინიკი | 30 | 12 | 10 | 8 | 33:32 | 46 |
| ტორპედო | 31 | 13 | 5 | 13 | 45:39 | 44 |
| ალანია | 31 | 13 | 4 | 14 | 48:36 | 43 |
| ბალტიკა | 31 | 9 | 15 | 7 | 34:33 | 42 |
| ზენიტი | 31 | 11 | 9 | 11 | 21:25 | 42 |
| როსტსელმაში | 31 | 9 | 13 | 9 | 32:32 | 40 |
| ჟემჩუჟინა | 31 | 10 | 6 | 15 | 31:44 | 36 |
| ცსკა | 31 | 9 | 8 | 14 | 24:40 | 35 |
| ტიუმენი | 31 | 9 | 6 | 16 | 25:40 | 33 |
| ფაკელი | 30 | 7 | 3 | 20 | 22:41 | 24 |
| ნ.ნოვგოროდი | 30 | 5 | 4 | 21 | 22:53 | 19 |
| კამაზი | 31 | 7 | 3 | 21 | 33:67 | 18 |

*კამაზს დაკლებული აქვს 6 ქულა.*

# ახალგაზრდობა — იმედი ხვალის!


ტომი სოდერბერგი

შვედეთის ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა ოცნებად დარჩა, 1994 წელს მათი მესამე ადგილზე გამყვანი ტომი სვენსონი კი შესარჩევი ტურნირის დამთავრებიდან ორი დღის შემდეგ ახალმა მწვრთნელმა შეცვალა. შვედეთის პირველი გუნდის ახალი თავკაცი ძველი მწვრთნელის სეხნია, 49 წლის ტომი სოდერბერგი იქნება. მან ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრები შესარჩევ ჯგუფში ამარჯვა და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზეც გაიყვანა. მომავალი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში შვედეთის ნაკრებში უმრავლესობა სწორედ ახალგაზრდები იქნებიან. როგორც ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა ლარს-იკე ლამანგელმა განაცხადა, სოდერბერგმა შესანიშნავი გუნდი დააყენა და მისი დიდი იმედი აქვთ.

სოდერბერგი 17 წელი საფეხბურთო სკოლებში მოღვაწეობდა, პროფესიონალურ კლუბებში მუშაობისას კი სტოკ-ჰოლმის აიკი 1992 წელს ჩემპიონი გახადა. სხვათა შორის, 90-იან წლებში აიკი ერთადერთი კლუბია, რომელმაც „გიოტებორგს" ჩემპიონობა აართვა. თავად მას ნაკრების მწვრთნელობაზე სერიოზულად არასდროს უფიქრია, ხანდახან მხოლოდ უოცნებია. მწვრთნელად დანიშვნის დღიდანვე იგი სასელექციო საქმიანობას შეუდგა. ტომი სვენსონისდროინდელი გუნდიდან რამდენიმე ფეხბურთელს განუცხადა, მაგნაირი თამაშით ნაკრებში ველარ მოხვდებიო. ამხანაგური თამაშების პირველი მატჩები სოდერბერგს სხვა კონტინენტზე მოუსურვებია.

# იქ, სადაც თბილა

„სკუადრა აძურამ" შესარჩევი ციკლი დაუმარცხებლად კი განვლო, მაგრამ თბილისში საქართველოსთან დაკარგულმა ორმა ქულამ ერთობ გაუფუჭა საქმე. გადამწყვეტ მატჩში იტალიელებმა ჰოდლის ბიჭები ვერ დაამარცხეს და ახლა საფრანგეთის საგზურს რომ დაეუფლონ, ორმატჩიანი დუელი უნდა გაუმართონ მათთვის ერთობ არასასიამოვნო მეტოქე რუსეთს. ჩეზარე მალდინი ფლეი-ოფების აცილებას თავიდანვე ითხოვდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და მეტი რა გზა აქვს, ისიც რუსებთან შეხვედრისათვის მზადებას შეუდგა. ყველას გასაკვირად, პირველი მატჩი რომ გასვლითია, ეს უფროსმა მალდინიმ არასასურველად ჩათვალა, თუმცა, დარწმუნებით თქვა, ორივე შეხვედრას მოვიგებთო.

პირველი მატჩი 26 ოქტომბერს მოსკოვშია. შეხვედრას განახლებული „ლუჟნიკები" უმასპინძლებენ, მაგრამ თუ წამოწვიმა და მინდორმაც იგივე სახე მიიღო, რაც ბულგარელებთან შეხვედრისას ჰქონდა, საეჭვოა, ხასხასა მინდვრებზე თამაშს მიჩვეულმა იტალიელებმა მეტოქეს აჯობონ. რაც შეეხება საპასუხო მატჩს, რომელიც 15 ნოემბერს გაიმართება, თავდაპირველად იგი მილანის „სან სიროზე" იგეგმებოდა, მაგრამ სამშაბათს იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლუჩანო ნიცოლამ განაცხადა, რომ შეხვედრას ნეაპოლის „სან პაოლო" უმასპინძლებს, რადგან საღამოობით ნეაპოლთან შედარებით მილანში ცივა და ნისლიც იცის. მოკლედ, „სკუადრა აძურა" რუსებს ნეაპოლში უმასპინძლებს.

აპენინელთა მწვრთნელმა ჩეზარე მალდინიმ რუსებთან ორი თამაშისთვის გუნდში დააბრუნა ფაბრიციო რავანელი, რომელსაც ბოლო ორ შესარჩევ მატჩში, საქართველოსთან და ინგლისთან, არ უთამაშია.

დამატებითი შესარჩევი მატჩების გამართვამ აპენინელებს ჩემპიონატის კალენდარი აურია — 29 ოქტომბერს და 16 ნოემბერს გასამართი ტურები შესაბამისად 11 თებერვლისთვის და 17 მაისისთვის გადაიდო.

თავის მხრივ რუსებსაც შეექმნათ პრობლემები. ნაკრები იტალიელებთან მატჩისთვის საფუძვლიანად რომ მოემზადოს, 26 ოქტომბერს გასამართი ტური 18 ოქტომბრისთვის გადმოწიეს. ასევე შეიცვალა ნოემბერში ჩასატარებელი ჩემპიონატის ერთ-ერთი ბოლო ტურის თარიღიც — 12 ნოემბრის ნაცვლად თამაშები 8-ში გაიმართება, რადგან 15-ში იტალიელებთან საპასუხო მატჩია.

ხორვატებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის დამატებითი ორი მატჩი უნდა გამართონ უკრაინასთან, რის გამოც საფრანგეთთან დაგეგმილი ამხანაგური შეხვედრა ჩაეშალათ. სპარინგ-პარტნიორის დაკარგვამ ფრანგები სრულიადაც არ ააღელვა, რადგან მათ ნაცვლად შოტლანდიელები დაითანხმეს. სქოთებს ფრანგები სენტ ეტიენში უმასპინძლებენ.

## რკინის ქალამნებს იცვამენ

საქმეს ისეთი პირი უჩანს, სანამ ინგლისელები უეფას თავს არ დაასვენებენ, მანამ არ მოეშვებიან. „ანდერლეხტის" აღიარებამ, 1984 წელს უეფას თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩის წინ აწ გარდაცვლილი ესპანელი მსაჯი გურუჩეტა მურო მოვქრთამეთო, „ნოტინგემ ფორესტის" თავკაცები ერთობ აღაშფოთა. მათ უეფას მიმართეს, ეგ ბელგიელები დასაჯეთ, თორემ ჩვენს საქციელზე პასუხს არ ვაგებთო. უეფაც ადგა და ბელგიელები ევროთასებს ერთი წლით ჩამოაშორა, ესეც არ აკმარა და გუნდი საკმაო თანხითაც დააჯარიმა.

ამ დღეებში ინგლისელებს, ეტყობა, ბელგიელთა სასჯელი ემსუბუქათ და კვლავ უეფას მიადგნენ — იმ ევროთასზე, რომელზე თამაშის უფლებასაც „ანდერლეხტი" მოიპოვებს, ჩვენ დაგვიშვითო. თავად „ნოტინგემი" პირველი დივიზიონის ლიდერია, მაგრამ ევროთასებზე გასასვლელად მხოლოდ ლიგის ან ასოციაციის თასის მოგება დარჩენია, ეს კი, ალბათ, მეტად გაუჭირდება. გუშინ კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა ფილ სოარმა განაცხადა, ამ დღეებში ჩვენი დელეგაცია ბრიუსელს გაფრინდება და „ანდერლეხტთან" ურთიერთობას გაარკვევსო. სოარმა ისიც თქვა, ჩვენ მათ მოვთხოვთ, ფულადი კომპენსაცია გადაუხადონ იმ ფეხბურთელებს, რომლებიც მსაჯის მოქრთამვის გამო დაზარალდნენ.

## ფეხბურთის რუქასთან



**ინგლისის** ლიგის თასის მესამე წრის მატჩებიდან, სამშაბათს რომ გაიმართა, აღსანიშნავია „მანჩესტერ იუნაიტედის" მარცხი „იფსვიჩ თაუნთან" — ჩემპიონი სტუმრად 0:2 დამარცხდა და შეჯიბრებას გამოეთიშა. მისი ბედი გაიზიარა კიდევ ერთმა პრემიერლიგელმა „ლესტერმა", ვინც ასევე გასვლაზე 1:3 წააგო „გრიმსბისთან". შინ ძლივს მოიგო ჩემპიონატის ლიდერმა „არსენალმა" — „ბირმინგემ სიტისთან" 4:1, ოღონდ დამატებით დროში. ამ მატჩში ჯეისონ ქროუ ინგლისის ფეხბურთის რეკორდების წიგნში შევიდა, როგორც ყველაზე სწრაფად გაძევებული დებიუტანტი მოთამაშე. ძირითადი დროის 1:1 დასრულების შემდეგ არსენ ვენგერმა ქროუ დიქსონის ნაცვლად შეიყვანა, ამან კი მოახერხა, 33 წამში (!) გაეგდოთ. სამშაბათის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: ბარნსლი — საუთჰემპტონი 1:2, ბოლტონი — უიმბლდონი 0:0, ოქსფორდი — ტრანმერი 1:1, რედინგი — ვულვერჰემპტონი 4:2, უოლსოლი — შეფილდ იუნაიტედი 2:1.

**ჩეხეთის თასის გათამაშების მეორე წრეში ორმა მესამე დივიზიონის კლუბმა გათამაშებას სენსაციურად გამოთიშა ქვეყნის აღიარებული ლიდერები — პრაღის „სპარტა" და ოლომოუცის „სიგმა". პირველმა 0:1 წააგო „მლადასთან", მეორე კი ასეთივე ანგარიშით „კრნოვთან" დამარცხდა.**

**ფრანგი** ემანუელ პეტი, შესაძლოა, ორ კვირაში დაუბრუნდეს „არსენალს". სამხრეთ აფრიკასთან ამხანაგურ მატჩში მიღებული ტრავმა ექიმებს თავდაპირველად მძიმე ეგონათ, მაგრამ როგორც კოჭის ხელახალმა რენტგენმა აჩვენა, მხოლოდ დაჟეჟილობა ყოფილა.

**ბულგარელი მსაჯები ფედერაციას დაემუქრნენ, თუ ვენს უსაფრთხოებაზე არ იზრუნებთ, უარბიტრებოდ დარჩებითო. ამ ბოლო დროს ჩემპიონატის მატჩებზე მათი ფიზიკური შეურაცხყოფის შემთხვევებიც კი იყო და მსაჯებიც ამის გამო აჯანყდნენ.**

**შოტლანდიის** ლიგის თასის ნახევარფინალში გლაზგოს „სელტიკმა" ყოფილი ჩელსელის, კრეიგ ბარლის 70-ე წუთზე შეგდებული ერთადერთი გოლის წყალობით „დანფერმლაინს" სძლია და ჰოლანდიელი მწვრთნელის ვიმ იანსენის თავკაცობით პირველ ფინალს უწია. ბოლო 11 წაუგებელ მატჩში ეს „სელტიკის" მეცხრე გამარჯვება იყო.

**ესპანეთის „ბარსელონას" და პორტუგალიის „პორტუს" ყოფილმა მწვრთნელმა ბობი რობსონმა შეიძლება „ტოტენჰემის" მწვრთნელობა იკისროს. ლონდონურმა კლუბმა 10 თამაშიდან მხოლოდ ორი მოიგო და მე-14 ადგილზეა, რამაც გუნდის პრეზიდენტი ალან შუგარი განარისხა. ჯერი ფრენსისი „ტოტენჰემში" 1994 წლიდანაა, მაგრამ ხეირიანს ვერაფერს მიაღწია.**

**იტალიის** თასის მესამე წრეში დედაქალაქის „ლაციომ" ნახევარ საათში გადაწყვიტა „ნაპოლისთან" ორმატჩიანი დუელის ბედი. რომაელები 30-ე წუთისთვის 4:0 იგებდნენ ალენ ბოქშიჩის მე-4 და 30-ე და ჯუზეპე სინიორის მე-16 და მე-20 წუთზე პენალტით შეგდებული გოლების წყალობით. მატჩის ანგარიში მერე აღარც შეცვლილა.

**შოტლანდიელი რიჩარდ გაფი, რომელიც აშშ-ს მეიჯორ ლიგაში ბურთაობდა, მშობლიურ „გლაზგო რეინჯერსს" დაუბრუნდა, თან განაცხადა, კლუბს ზედიზედ მე-10 ჩემპიონობა უნდა მოვაგებინოო. 37 წლის ექს-კაპიტანს კლუბმა ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.**

**ინგლისის** ნაკრების მწვრთნელი გლენ ჰოდლი 18-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ მეუღლე ანას გაშორდა. ეს ცნობა ბრიტანეთს ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენელმა დევიდ დევისმა ამცნო. მანვე განაცხადა, ამბის დამალვა თავად ჰოდლმა არ ისურვა, ჩვენ კი მისმა განქორწინებამ ერთობ დაგვამწუხრაო.

**იტალიის პრემიერ-მინისტრმა რომანო პროდიმ ბრიტანელი კოლეგა ტონი ბლეიერი მაიწვია სერია A-ს მატჩზე დასასწრებად. მინისტრების უმთავრესი მიზანი შაბათს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაზე იტალიელი პოლიციელების უმსგავსო საქციელი ყოფილა, რომელმაც მთელი ბრიტანული სამყარო აღაშფოთა. ამ შეხვედრაზე ისინი გარკვეულწილად სახელმწიფო დონის საკითხებზეც ისაუბრებენ და მომხდარის სერიოზულ გამოძიებას, აგრეთვე დამნაშავეთა მხილებას შეუწყობენ ხელს. ფიფას გენერალური მდივნის იოზეფ ბლატერის თქმით, შაბათის უწესრიგობის გამო ინგლისისა და იტალიის მსოფლიოს ჩემპიონატიდან მოკვეთას არ აპირებენ.**

**ჩილელი** ხოსე მარსელო სალასი, შესაძლოა, არგენტინული „რივერ პლეიტიდან" ინგლისის ჩემპიონთა რიგებში აღმოჩნდეს. გუშინ „მანჩესტერ იუნაიტედმა" არგენტინელებს სალასში 20 მილიონი დოლარი შესთავაზა, თუმცა, ოკეანისგაღმელთა პასუხი ჯერ უცნობია. სალასმა, რომელსაც ხანდახან „მატადორადაც" მოიხსენიებენ, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში კვირას პერუს სამი გოლი შეუგდო.

**ბელგიის თასის პირველი წრის მატჩებში „ბრიუგემ" 4:1 სძლია „ოსტენდეს", ლიეჟის „სტანდარდმა" კი ასევე შინ 2:1 დაამარცხა „ვიზე".**

**ინგლისელთა** უპირველესმა თავდამსხმელმა ალან შირერმა განაცხადა, თავიდან ახალი წლისთვის ვაპირებდი, ფეხბურთს დავბრუნებოდი, მაგრამ, ალბათ, მარტამდე ამას ვერ მოვახერხებო. ამ დღეებში იგი „ნიუკასლის" საწვრთნელ ბაზაზე ვარჯიშობდა, თუმცა აგვისტოში მიღებული კოჭის მძიმე ტრავმა მაინც აწუხებს.

**იტალიის ჩემპიონები ამ სეზონიდან „სკუდეტოს" გარდა ჯილდოდ კიდევ 7 მილიონ დოლარს მიიღებენ. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, საკმაოდ დიდი თანხებით დაჯილდოვდებიან მეორედან მეექვსე ადგილზე გასული კლუბები, ასევე სერია B-ს ჩემპიონი. დღესდღეობით სერია A-ს „ინტერი" ლიდერობს, თუმცა წინ კიდევ 29 ტურია.**

**სლოვაკეთის** ჩემპიონატის მეცხრე ტური: ზილინა — სობოტა 1:0, ბარდეხოვი — ტრენჩინი 0:2, დუნაისკა სტრედა — სლოვანი 1:1, დუკლა — არტმედია 3:1, სპარტაკი — პეტრიმექსი 4:2, ინტერი — ტატრანი 2:1, ლოკომოტივა — კოშიცე 0:3, რუზომბეროკი — ხემლონი 3:0. ჩემპიონატს ტრნავის „სპარტაკი" ლიდერობს 21 ქულით. მეორე-მესამეზე კი „კოშიცე" და „ინტერი" არიან 19-19 ქულით.

**ბრაზილიის ჩემპიონატის 21-ე ტურის მატჩში „სანტოსმა" „კორინტიანსს" უმასპინძლა და 1:0 მოიგო. ჩემპიონატს 42-42 ქულით „ვასკუ და გამა" და „ინტერნასიონალი" ლიდერობენ, „პორტუგეზა" კი მესამეა.**

**სამხრეთ ამერიკაში** სამშაბათს და ოთხშაბათს სუპერთასის პირველი ეტაპის მორიგი მატჩები გაიმართა. მეორე ჯგუფში არგენტინის „ველეზ სარსფილდმა" და პარაგვაის „ოლიმპიამ" ფრედ 1:1 ითამაშეს. გოლები პარაგვაელმა მონზონმა მე-19 წუთზე და არგენტინელმა პოსემ 43-ე წუთზე შეაგდეს. ამავე ჯგუფში ბრაზილიის „სან პაულუმ" არისტისაბალის 34-ე წუთზე შეგდებული გოლით თანამემამულე „ფლამენგოს" სძლია. მეოთხე ჯგუფში კოლუმბიის „ატლეტიკო ნასიონალმა" კომას მე-80 და მორანტესის 89-ე წუთებზე გატანილი ორი გოლით არგენტინის „ესტუდიანტესი" დაამარცხა 2:0. სუპერთასის გათამაშებაში მხოლოდ ის კლუბები მონაწილეობენ, რომელთაც ერთხელ მაინც მოუგიათ ლიბერტადორესის თასი.

**არგენტინელი ფეხბურთელები ახალ სეზონში მეორე გაფიცვით იმუქრებიან. ამჯერად საქმე ეხება დოპინგ-კონტროლს. არგენტინაში დოპინგზე შემოწმებულ ფეხბურთელს თუ რომელიმე აკრძალული პრეპარატი ან ნარკოტიკი აღმოუჩინეს, ორწლიან დისკვალიფიკაციას აძლევენ, მეორედ ჩავარდნის შემთხვევაში კი — სამუდამოს. ფეხბურთელთა განცხადებით, ეს ძალიან მკაცრი ზომებია და შემსუბუქებას საჭიროებს. მოთამაშეთა გაფიცვის შესახებ ოფიციალურად დიეგო მარადონამ (ცხადია), ხორხე ბურუჩაგამ, ოსკარ რუჯერიმ და ენცო ფრანჩესკოლიმ განაცხადეს.**

ჭიდაობა

# ბალავაძე სტუმრებს ელის

შაბათ-კვირას ჭიდაობის ქომაგთ საჩუქარი ელით: თბილისის სპორტის სასახლეში დიდი ქართველი ფალავნის — ვახტანგ ბალავაძის სახელობის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი გაიმართება. სადღეისო მონაცემებით თბილისს სომეხი, აზერბაიჯანელი, ირანელი, უკრაინელი, ოსი და დაღესტნელი მოჭიდავეები ესტუმრებიან. ეს ორი უკანასკნელი, მართალია, რუსეთის სახელით იასპარეზებს, მაგრამ ცალ-ცალკე გუნდებად. ჯერჯერობით გაურკვეველია, ჩამოვლენ თუ არა რუსები და ბელარუსები. არც ის არის გამორიცხული, სხვა ქვეყნებმაც გამოგზავნონ არასრული გუნდები — თითოეულმა ორი-სამი მოჭიდავე. მოკლედ, თბილისში არაერთი ძლიერი ფალავანი ჩამოვა, თუმცა, რა თქმა უნდა, ბევრსაც მოვისაკლისებთ, ეს კი იმის ბრალია, რომ ტურნირი ოქტომბერში ტარდება, ამ დროს მოჭიდავეთა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები დამთავრებულია და ეს ასპარეზობა ფალავნებს დიდი შეჯიბრებისთვის მოსამზადებლად აღარ გამოადგებათ. არც თბილისური ტურნირის საპრიზო ფონდია დასახარბებელი...

საქართველოს ნაკრებს ევროპის წლევანდელი ჩემპიონები ელდარ კურტანიძე და დათო პოღოსიანი არ ეყოლება. ელდარი გერმანიის მოჭიდავეთა კლუბის წევრია და გერმანელთა ჩემპიონატში ასპარეზობს, დათოს კი მსოფლიოს ჩემპიონატის წინ მიღებული საზარდულის ტრავმა არ მოუშუშებია. არც ემზარ ბედინეიშვილი და თამაზ გეგეშიძე იჭიდავებენ. მცირე ტრავმა აქვს ალექსანდრე მოდებაძეს, მაგრამ, როგორც ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზაზა თურმანიძემ მითხრა, იგი შეძლებს ჭიდაობას. სათუოა მძიმეწონოსან მამუკა ფერიაშვილის ასპარეზობაც. მოკლედ, გუნდში პრობლემებია, რაც მთავარია, ლიდერები არ იქნებიან და ზაზა თურმანიძეს შედარებით გამოუცდელი და ახალბედა ფალავნების გამოყვანა მოუწევს.

ტურნირის მთავარი, ვახტანგ ბალავაძის სახელობის პრიზი 76 კილოგრამ წონაში გამარჯვებულ ფალავანს ერგება.

**ლევან ჯავახიშვილი**

# ტარზანა ჩემპიონად დაგვიბრუნდა

საბერძნეთმა მსოფლიოს 11 ქვეყანას მოუყარა თავი და ამასწინათ სალონიკში საერთაშორისო ტურნირი გამართა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. პოლონეთი, იაპონია, რუსეთი, საბერძნეთი, ბულგარეთი, იუგოსლავია — ეს ქვეყნები ადრეც წარმატებით ასპარეზობდნენ სხვადასხვა ჩემპიონატებსა თუ ტურნირებში და დღესაც ანგარიშგასაწევ ძალად ითვლებიან, ამიტომ მათთან გამკლავება არ არის იოლი საქმე. სალონიკს საქართველოდან სამი კაცი ეწვია: ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ბეგი დარჩია და ორი მოჭიდავე — ტარიელ მელელაშვილი (69 კგ) და ზაზა სილაგაძე (97 კგ).

სასიხარულოა, რომ ორივე ჩვენებური ჩემპიონი გახდა. განსაკუთრებით გასახარია ტარიელ მელელაშვილის წარმატება — ამ ნიჭიერმა ბიჭმა, მეტსახელად ტარზანამ, გეხსომებათ, ატლანტის ოლიმპიადაზე მხარი მოიტეხა, ამერიკაშივე მძიმე ოპერაცია გადაიტანა და წელიწადზე მეტია, არსად ეჭიდავა, პირველსავე ტურნირზე კი იჩემპიონა, თანაც ოთხივე შეხვედრა ძირითად დროში და ოთხივე წმინდად მოუგო ბერძენ, იაპონელ, რუს და ბულგარელ ფალავნებს. ზაზა სილაგაძემაც დამაჯერებლად სძლია სამ მოწინააღმდეგეს, ფინალში კი პოლონელს არ დაუთმო პირველობა. აღსანიშნავია, რომ ამ ბიჭებს მსოფლიოს ჩემპიონატზე არ უჭიდავიათ და სწორედ ამიტომაც მისცა მათ თავის გამოჩენის შანსი ნაკრების მწვრთნელმა. უმსოფლიოსჩემპიონატოდ დარჩენილი სამი-ოთხი კაცის წაყვანაც უპრიანი იქნებოდა, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ მოვახერხეთო — გვითხრა ბეგი დარჩიამ.

მთავარია, რომ ორივე ფალავანმა გვასახელა, ტრავმამოშუშებული ტარიელ მელელაშვილის სახით კი საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებს ერთ-ერთი ლიდერი დაუბრუნდა.

**ბახა არჯევანიძე**

ჩოგბურთი

ბათუმში დამთავრდა ქალთა საერთაშორისო ტურნირი.

ერთეულების ფინალში მოსკოველები — ანასტასია მისკინა და ელენა დემენტიევა გავიდნენ. მისკინამ ჩინებულად ითამაშა და დაძაბულ ორთაბრძოლაში

# მისკინა და დემენტიევა, პეტროვა აღარ...

დაამარცხა თავისი მეწყვილე 6:7, 6:4, 7:5. დემენტიევამ ნახევარფინალში თბილისში გამარჯვებულ ნადია პეტროვაზე იძია შური და რევანშიც აიღო 7:5, 6:4. მარგალიტა ჩახნაშვილს მეოთხედფინალში მუხლის ტრავმამ გაუხსენა და ასპარეზობა შეწყვიტა.

წყვილებში, ისევე როგორც თბილისში, დემენტიევამ და მისკინამ შანსი არ დაუტოვეს მოწინააღმდეგეებს. ფინალში მათი მეტოქე იყო სლოვაკი დანიელა კოვაჩევასა (მას თბილისში არ უასპარეზია) და უკრაინელი ირინა ნოსენკოს დუეტი. პირველი სეტი დემენტიევამ და მისკინამ აშკარა უპირატესობით მოიგეს 6:1. მეორეში კოვაჩევამ მხარის ტრავმა მოიმიზეზა და სლოვაკ-უკრაინელის წყვილმა შეხვედრა დათმო.

**გია გოგიტიძე**

ავტორბოლა

21 ოქტომბერს ფია-ს საბჭოს სხდომაზე გაირკვევა, ჟაკ ვილნევი ევროპის დიდ პრიზზე ჩემპიონატის ლიდერის რანგში იასპარეზებს თუ მას იაპონიაში მოპოვებულ 2 ქულას ჩამოართმევენ.

# თავსატეხი — ვილნევი

ვილნევი ვარჯიშისას ყვითელ ალამზე გასწრებისთვის იყო დისკვალიფიცირებული, მაგრამ „უილიამსის" გუნდის პროტესტის შემდეგ რბოლაზე დაუშვეს და მეხუთე ადგილიც დაიკავა.

ამჯერად ფია-მ უნდა განსაჯოს, რომელი გადაწყვეტილება იყო სწორი — პილოტის დისკვალიფიკაცია თუ შემდეგ მისი რბოლაზე დაშვება. თუ ფია პირველ გადაწყვეტილებას გაამართლებს, მაშინ ჩემპიონატის ლიდერი შუმახერი გახდება 78 ქულით, კანადელი კი 77-ით მეორე იქნება.

რაც არ უნდა გადაწყვიტონ ფია-ს თავკაცებმა, ვილნევი ხერესის ტრასაზე გამართულ დიდ პრიზზე იასპარეზებს და ჩემპიონობის მოსაპოვებლადაც იბრძოლებს.

კალათბურთი

# ეჰ, წუთით მაინც დაბრუნდებოდეს... ჯუმბერ ნიჟარაძე 75 წლისაა



მე კალათბურთი იქიდან მახსოვს, როცა თავიანთ ბოლო წლებს ატარებდნენ მოედანზე გურამ მინაშვილი, ლევან ინწკირველი, ალექსანდრე კილაძე... ლევან მოსეშვილის, ანზორ ლეჟავას და ვლადიმერ უგრეხელიძის თაობიდან იწყება ჩემი საკალათბურთო შთაბეჭდილებები. მათ შემდეგ ვინც მოვიდა ქართულ კალათბურთში, ყველამ კარგად იცით... მაგრამ დღეს მინდა დავწერო ჯუმბერ ნიჟარაძეზე, რომლის თამაშიც გასაგები მიზეზის გამო არ მინახავს — ძალზე პატარა ვიყავი, მან რომ კალათბურთს თავი დაანება. როცა ადამიანი თავის საქმეში არ გიხილავს, ყველაზე ადვილია, მის ყოფილ თანაგუნდელებს შეეხმიანო — რამდენ რამეს გაიხსენებენ... მაგრამ უცებ ერთმა აზრმა გამიელვა — მოთამაშე ხომ თანაგუნდელთათვის არ იხარჯება, იგი გულშემატკივრებს აზიარებს დღესასწაულს და ვნახოთ, რა რჩება იმ დღესასწაულებიდან...

ჰოდა, შევედი ვერის პარკში და ორ პატივსაცემი ასაკის გულშემატკივარს მივუჯექი.

— გამარჯობათ, ბატონებო. თქვენ, ალბათ, კალათბურთის გულშემატკივრები იყავით...

— შვილო, ჩვენ ძველი ვერელები ვართ, თბილისელები, როგორ შეიძლება, კალათბურთი არ გვყვარებოდა — მითხრა ერთმა, სათვალიანმა.

— ჯუმბერ ნიჟარაძის თამაში თუ გახსოვთ?



მოყვარულის გადაღებული ძველი, ფერნაცვალი ფოტო წარსულის მოსაგონებლად: ჯუმბერ ნიჟარაძე (მარჯვნივ, განაპირას) მეტოქის შეტევის შეფერხებას ცდილობს

გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს.

— კაცო, ხომ გითხარით, ძველი გულშემატკივრები ვართ-თქო, ჰოდა, ჯუმბერის თამაში თუ არ გვახსოვს, აბა რაღა გულშემატკივრები ვართ?! — თქვა მეორემ, უსათვალომ.

— როგორი იყო მოედანზე?

— მოდი, გენაცვალე, შორიდან დავიწყოთ. ომის შემდეგ საბჭოთა კავშირს ბალტიისპირეთი შემოუერთდა (მაშინ ასე გვეგონა, რა ვიცოდით, ძალით თუ მიითვისეს). ჰოდა, გამოჩნდნენ დიდი ლიტველები: ბუტაუტასი, პეტკიავიჩუსი, კულაკაუსკასი, უძლიერესი ესტონელები — ილმარ კულამი და ივან ლისოვი. დახვდნენ რუსეთის ძლიერი გუნდებიც, განსაკუთრებით, მოსკოვის „დინამო" (ცსკა ჯერ არ იყო ისეთი, როგორიც შემდგომ) და აი, ამ ვირტუოზებს ჩვენებმა — ოთარ ქორქიამ და ნოდარ ჯორჯიკიამ, ჯუმბერ ნიჟარაძემ და ვაჟა ქლენტმა, ალეკო მესხმა და შოთა ქორქაშვილმა, დათო გოგიაშვილმა, ლევან ინწკირველმა, სულიკო [illegible] და გურამ [illegible] სულ [illegible] აიღეს — 1950 წელს, მერე 1953-შიც და 1954-შიც.

— მე 54-ში დავიბადე.

— ჰოდა, ნამდვილად არ გეხსომება, როგორი მოთამაშე იყო ჯუმბერი, „დინამოს" ექვსი ნომერი. მოედანზე ბოლომდე ჯიგრით იბრძოდა. თავი დაეზოგოს, არავის უნახავს. მთელ სულსა და გულს აქსოვდა თამაშში. აბა, როგორ აგიხსნა, აი, მიშა ქორქია რომ თამაშობდა, ბოლომდე რომ იხარჯებოდა, ისე — განაგრძო სათვალიანმა.

— ჯუმბერი ყველას უყვარდა, გულშემატკივრებსაც და მეგობრებსაც და, რა თქმა უნდა, ქალებს მოსწონდათ ძალიან.

— ძალზე სიმპატიური და მოხდენილი იყო მოედანზე და მის გარეთაც. სამჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. თანაც მაშინ ჩემპიონობას არ არიგებდნენ, 70 პროცენტი მაინც უნდა გეთამაშა. ჯუმბერს, რა თქმა უნდა, ეს სულ არ აწუხებდა, სასტარტო ხუთეულის წევრი იყო.

— სამჯერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობას ეხუმრები? ვინ გვყოლია სათამაშო სახეობებში სამგზის ჩემპიონი?

— ვინ გვყოლებოდა — ჩავერიე მე — სამჯერ მხოლოდ ქუთაისის „აია" იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. ჩვენი სახელოვანი ფეხბურთელები და ხელბურთელები მხოლოდ ორჯერ იყვნენ პირველები.

— კალათბურთელები კი — ექვსჯერ. ორჯერ — თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდი და ოთხჯერ — „დინამო". მათ შორის კი მხოლოდ ჯორჯიკიაა ხუთგზის ჩემპიონი.

— ჰოდა, წარმოიდგინე, 50-იან წლებში, როცა ფეხბურთელებიც კი ვერ გავიდნენ პირველ ადგილზე, ჩვენმა „დინამომ" სამჯერ შეძლო ეს. რა გუნდი გვყავდა...

— ჯუმბერი ქორქიასა და ჯორჯიკიას წასვლის შემდეგ „დინამოს" კაპიტანიც იყო — ნამდვილი კაპიტანი, ეჰ, კიდევ დიდხანს ითამაშებდა, ფეხი რომ არ დაეშავებინა.

— დიდებული მოთამაშე იყო, ისე, რატომ გვეკითხებით ჯუმბერზე?

— 75 წლის გახდა და გვინდა, მივულოცოთ — ავუხსენი.

— ვინა, ჯუმბერი გახდა 75-ის? — გაიკვირვა უსათვალომ.

— რა მოგივიდა, კაცო, შენც 75-ის არა ხარ? — შეუძახა სათვალიანმა.

— ჰოო...

— ეჰ, რა დრო იყო. გახსოვს, ვერის პარკში მოედანზე ნემსი არ ჩავარდებოდა?

— და ის რომ იყო...

და ჩემმა თანამოსაუბრეებმა ახალგაზრდობა გაიხსენეს. ერთმანეთს მიჰყვა მოგონებები. მე კი უჩუმრად გამოვეცალე და, გავიფიქრე: მართლაც ღირს განვლილი გზის მოგონება, რათა ხალხს ახალგაზრდობის წლები დაუბრუნო, თუნდაც რამდენიმე წუთით აჩუქო დღესასწაული და შენც აღმაფრენით უცქირო შენს კერპებს, რომლებიც მოედანზე ვაჟკაცობისა და სილამაზის მაგალითს გაზიარებენ.

იმ დღეს ეს ჯუმბერ ნიჟარაძის სახელის ხსენებამ გამოიწვია. იმ გულშემატკივართა სახელით, ვისაც თქვენი თამაში ახსოვს და იმათი სახელითაც, ვინც გადმოცემით იცის თქვენს შესახებ, ნაგვიანევად გილოცავთ დაბადების დღეს, ბატონო ჯუმბერ!

**ილია მხეიძე**

ჭადრაკი

# მსოფლიოს ჩემპიონი ნაქირავებში ცხოვრობს

მართალია, ქართველებს აღარ გვყავს მსოფლიოს ჩემპიონი მოჭადრაკე ქალი, მაგრამ, საბედნიეროდ, ნიჭიერი გოგონები არ დაგვლევიან. მათი სადღეისო წარმატებები იმედს გვისახავს, რომ მსოფლიოს ჩემპიონის დაფნის გვირგვინი კვლავ საქართველოს დაუბრუნდება. მათ შორის, ვისიც გვეიმედება, ერთ-ერთი რუსუდან გოლეთიანიცაა. რუსუდანმა ორი წლის წინ 16 წლამდე გოგონათა მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა, ახლახან კი ერევანში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე 18 წლამდე გოგონებში გახდა პირველი და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ძალუძს დიდ ჩემპიონობაზე რეალური ოცნება. საამისოდ კი რუსუდანს ყურადღება და მხარში ამოდგომა სჭირდება, მით უმეტეს, იგი სოხუმელია, ლტოლვილი. თუ ამ ნიჭიერმა გოგონამ განსაკუთრებული ყურადღება მოითხოვა, ალბათ, არც გაემტყუნება.



რუსუდან გოლეთიანი

**— რუსუდან, როგორც ლტოლვილისთვის, ცხადია, შენთვისაც ძნელი იყო საკუთარი მიწიდან მოწყვეტა და ახლებური ცხოვრების დაწყება.**

— რა თქმა უნდა, ძალიან გამიჭირდა მშობლიურ კუთხიდან აყრა. მაშინ 13 წლისა ვიყავი, მაგრამ, ასე თუ ისე, შევეგუე ახალ ცხოვრებას. ჩემი მწვრთნელი ბაგრატ გვენცაძე ამომიდგა მხარში, სხვებიც, ამიტომაც დავძლიე პრობლემები და მოვიცალე ჭადრაკისთვის.

**— როგორ მოხვდი ჭადრაკში?**

— მამას ძალიან უყვარდა ჭადრაკი და გადაწყვიტა, ჩემთვისაც ესწავლებინა. ვფიქრობ, გავუმართლე იმედები, ნაწილობრივ მაინც. დანარჩენს კი, ვიმედოვნებ, მომავალში მივაღწევ.

**— როგორ ფიქრობ, რომელმა პარტიამ გამოაჩინა ყველაზე სრულად შენი შესაძლებლობები?**

— შეძლებისდაგვარად, ალბათ, ყველა პარტიაში ვავლენ თავს. მართალია, ყოველთვის არ გამოდის, მაგრამ მონდომებას არ ვაკლებ და ამას ხშირად შედეგიც მოჰყვება. მაგალითად წლევანდელი ჩემპიონატიც იკმარებს.

**— ერევნის მსოფლიოს ჩემპიონატზე გვითხარი...**

— ჩემპიონატზე ჩემს ასაკში — 18 წლამდე გოგონათა შორის 42 მონაწილე იყო. ტურნირი მაღალ დონეზე ჩატარდა. პირობები საუცხოო იყო, რაც მთავარია, მართლაც უძლიერესნი ასპარეზობდნენ. ამან კი სიმწვავე და ინტერესი შემატა ჩემპიონატს.

**— ქართველი მოჭადრაკეები ბევრნი იყავით?**

— საერთოდ, საქართველოდან 13 მოჭადრაკე ასპარეზობდა, 6 გოგონა და 7 ვაჟი. აქედან ჩემს ასაკობრივ ჯგუფში — 3 გოგონა და 3 ვაჟი.

**— ქართველთაგან წარმატება ერთადერთს შენ გერგო. შენი აზრით, რა იყო ამის მიზეზი?**

— მინდა ვთქვა, რომ ჩვენი მოჭადრაკეები უფრო ნიჭიერები არიან, ვიდრე მათი ტოლი უცხოელები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც უცხოელებმა იძალეს. მიზეზი კი, ალბათ, საერთოდ ქართული სპორტის გასაჭირია.

**— ჩემპიონატზე შენი მთავარი კონკურენტები ვინ იყვნენ?**

— ვიეტნამელი ჰუანგ თრანგი ყველაზე ძლიერი მეტოქე იყო, თავიდან ლიდერობდა კიდეც, ვიდრე გადამწყვეტი პარტია არ მოვუგე.

**— ჩემპიონობა ახლა უფრო გაგიჭირდა თუ ორი წლის წინ, 16 წლამდელთა პირველობაზე?**

— წელს უფრო გამოჭირდა. მაშინდელი გოგონები გაიზარდნენ და მეტი გამოცდილება შეიძინეს. ძლიერი მოჭადრაკეები ასპარეზობდნენ, მაგრამ, ვცდილობდი, შედეგზე არ მეფიქრა და უბრალოდ, ჭადრაკი მეთამაშა.

**— ახლა საჭადრაკო ტურნირებს თავისი სპონსორები ჰყავთ. ერევნისას ვინ შეეწია ფინანსურად?**

— ჩემპიონატის გენერალური სპონსორი ფირმა „კოკა-კოლა" იყო, რომელმაც პრიზები დაუწესა გამარჯვებულებს — მარმარილოს ქვისგან დამზადებული საჭადრაკო ემბლემები. ჩვენი, 13 მოჭადრაკის მგზავრობისა და ერევანში ცხოვრების ხარჯები კი საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ გაიღო.

**— 18 წლის ასაკში მსოფლიოს ჩემპიონობა სახუმარო საქმე არაა. პრეტენდენტთა ჩემპიონატში მონაწილეობის შანსი თუ გაქვს?**

— ამაში ბევრი რამ მიშლის ხელს. არაერთ ტურნირს ვტოვებ უსახსრობის გამო. არ მაქვს კომპიუტერი, რაც აუცილებელია ყველა მოჭადრაკისთვის. ამ პირობების უქონლობის გამო ძნელია, პრეტენდენტთა დიდ ტურნირებში მონაწილეობა, მაგრამ, ვიმედოვნებ, მალე ყველაფერი გამოსწორდება და დიდ ჩემპიონობაზე ფიქრიც რეალურად შემეძლება.

**— სპორტის გარდა რას საქმიანობ?**

— ვცხოვრობ მამასთან ერთად ნაქირავებ ბინაში. წელს ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე.

**— როგორც ლტოლვილს, სახელმწიფო ფინანსურად თუ გეხმარება?**

— აფხაზეთის სპორტის კომიტეტი თუ შემეწევა ზოგჯერ, მაგრამ განა ეს საკმარისია?

**ნაზი მაისაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

# სპორტული ლატარია "CROCO"

## საფრანგეთის ჩემპიონატი. XII ტური

17 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნანტი — ლიონი | 2,0 | 2,8 | 2,9 |
| გინგამი — ბორდო | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| ლანსი — მონაკო | 1,9 | 2,8 | 3,1 |
| ოსერი — ბასტია | 1,8 | 2,9 | 3,3 |
| მარსელი — მეცი | 2,0 | 2,8 | 2,9 |
| ლე ავრი — რენი | 1,7 | 2,9 | 3,8 |
| მონპელიე — შატორუ | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| სტრასბური — კანი | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| ტულუზი — პსჟ | 2,4 | 2,9 | 2,2 |

## გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XI ტური

17 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოხუმი — კიოლნი | 1,8 | 2,8 | 3,4 |
| ვერდერი — ჰამბურგი | 1,6 | 3,0 | 4,2 |

18 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| კარლსრუე — ბაიერნი | 3,6 | 3,0 | 1,7 |
| შტუტგარტი — ჰერტა | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| დუისბურგი — დორტმუნდი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| ლევერკუზენი — კაიზერსლაუტერნი | 1,9 | 2,9 | 3,0 |
| მიუნხენი — ვოლფსბურგი | 1,5 | 3,1 | 4,7 |
| ჰანზა — შალკე | 2,0 | 2,8 | 2,9 |

19 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| არმინია — მიონხენგლადბახი | 1,8 | 2,9 | 3,3 |

## გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. X ტური

17 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| კარლ ცაისი — მეპენი | 2,1 | 2,9 | 2,6 |
| კოტბუსი — მაინცი | 1,7 | 2,9 | 3,8 |

19 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვატენშაიდი — ფორტუნა | 2,1 | 2,8 | 2,7 |
| ნიურნბერგი — ზანქტ პაული | 2,0 | 2,9 | 2,8 |
| კიკერსი — ცვიკაუ | 1,25 | 3,6 | 7,0 |
| დიუსელდორფი — გიუტერსლო | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| ლაიპციგი — უნტერჰახინგი | 2,0 | 2,7 | 3,0 |
| ფრაიბურგი — ფიურტი | 1,1 | 5,0 | 10,0 |

20 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| აინტრახტი — ურდინგენი | 1,6 | 3,0 | 4,2 |

## ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XI ტური

18 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ასტონ ვილა — უიმბლდონი | 1,4 | 3,2 | 5,3 |
| ბლექბერნი — საუთჰემპტონი | 1,15 | 4,4 | 2,0 |
| ჩელსი — ლესტერი | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| კრისტალ პალასი — არსენალი | 4,0 | 3,1 | 1,6 |
| დერბი — მანჩესტერი | 3,0 | 2,7 | 2,0 |
| ევერტონი — ლივერპული | 3,0 | 2,9 | 1,9 |
| ლიდსი — ნიუკასლი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| ვესტ ჰემი — ბოლტონი | 1,5 | 3,0 | 5,0 |

19 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტოტენჰემი — შეფილდი | 1,5 | 3,0 | 5,0 |

20 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარნსლი — ქოვენთრი | 2,0 | 2,8 | 2,9 |

## ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XII ტური

18 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბერი — ბირმინგემი | 2,1 | 2,9 | 2,6 |
| ჩარლტონი — სტოკი | 1,9 | 3,0 | 2,9 |
| ქრიუ — მიდლსბრო | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| სიტი — რედინგი | 1,5 | 3,2 | 4,4 |
| ნორვიჩი — სტოკპორტი | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| ნოტინგემი — ტრანმერი | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| ოქსფორდი — იფსვიჩი | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| პორტ ვეილი — ბრედფორდი | 1,7 | 3,0 | 3,6 |
| პორტსმუთი — ვესტ ბრომი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| შეფილდი — ქუინზ პარკი | 1,4 | 3,2 | 5,3 |
| სანდერლენდი — ჰადერსფილდი | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| ვულვერჰემპტონი — სვინდონი | 1,7 | 3,1 | 3,4 |

## იტალიის ჩემპიონატი. სერია A. VI ტური

19 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარი — იუვენტუსი | 3,6 | 3,0 | 1,7 |
| ბრეშია — ვიჩენცა | 2,0 | 2,8 | 2,9 |
| ფიორენტინა — რომა | 2,0 | 2,8 | 2,9 |
| ლაციო — ატალანტა | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| მილანი — ლეჩე | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| ნაპოლი — ინტერი | 3,0 | 2,9 | 1,9 |
| პარმა — ბოლონია | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| სამპდორია — პიაჩენცა | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| უდინეზე — ემპოლი | 1,5 | 3,0 | 5,0 |

## იტალიის ჩემპიონატი. სერია B. VIII ტური

19 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ანკონა — ტრევიზო | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| კიევო — დი სანგრო | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| ფოჯა — ფ. ანდრია | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| ლუკეზე — რეჯინა | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| მონცა — ტორინო | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| პერუჯა — პადოვა | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| რავენა — კალიარი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| რეჯანა — ჯენოა | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| სალერნიტანა — პესკარა | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| ვენეცია — ვერონა | 1,6 | 3,0 | 4,2 |

## ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. VII ტური

19 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ესპანიოლი — ბეტისი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| სარაგოსა — ატლეტიკო | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| მერიდა — სალამანკა | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| ოვიედო — სოსიედადი | 1,8 | 2,9 | 3,3 |
| სელტა — ვალენსია | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| ბილბაო — დეპორტივო | 1,8 | 2,9 | 3,3 |
| ვალიადოლიდი — სპორტინგი | 1,7 | 3,0 | 3,6 |
| რეალი — ტენერიფე | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| რასინგი — მალიორკა | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| კომპოსტელა — ბარსელონა | 4,0 | 3,1 | 1,6 |

## ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. IX ტური

19 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ალბასეტე — ეიბარი | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| ტოლედო — ლას პალმასი | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| ვილიარეალი — ლეიდა | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| რაიო — ორენსე | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| ერკულესი — ხაენი | 1,25 | 3,6 | 7,0 |
| ოსასუნა — სერესი | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| ლევანტე — ელჩე | 1,8 | 2,9 | 3,3 |
| ალავესი — ესტრემადურა | 3,0 | 2,9 | 2,0 |
| ლეგიანესი — ბადახოსი | 1,9 | 2,9 | 3,0 |
| ატლეტიკო B — ლოგრონიესი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ნუმანსია — სევილია | 3,0 | 2,9 | 2,0 |

## პორტუგალიის ჩემპიონატი. VII ტური

19 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვარზიმი — რიუ ავე | 1,9 | 2,8 | 3,1 |
| პორტუ — აკადემიკა | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| მარიტიმუ — სპორტინგი | 3,0 | 2,9 | 2,0 |
| ამადორა — სეტუბალი | 1,8 | 3,0 | 3,2 |
| სალგეირუში — ბრაგა | 1,9 | 2,9 | 3,0 |
| ლეცა — კამპომაიორენსე | 1,7 | 3,0 | 3,6 |
| ბენფიკა — ფარენსე | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ბოავიშტა — შავეში | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| ბელენენსეში — გიმარაეში | 2,8 | 2,9 | 2,0 |

## ჰოლანდიის ჩემპიონატი. XI ტური

17 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სიტარდი — გრონინგენი | 2,1 | 2,9 | 2,6 |

18 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| როდა — ვიტესი | 1,9 | 2,9 | 3,0 |
| ჰერენვენი — სპარტა | 1,3 | 3,6 | 6,0 |
| ბრედა — ვალვაიკი | 1,4 | 3,3 | 5,0 |
| ტვენტე — გრააფსხაპი | 1,25 | 3,6 | 7,0 |

19 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვოლენდამი — ფეიენოორდი | 7,0 | 4,2 | 1,2 |
| ნაიმეგენი — ეინდჰოვენი | 6,0 | 3,6 | 1,3 |

## ბელგიის ჩემპიონატი. IX ტური

18 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სტანდარდი — ბრიუგე | 3,4 | 3,1 | 1,7 |
| მუსკრონი — სტ. ტრიუდენი | 1,25 | 3,6 | 7,0 |
| შარლერუა — ლომელი | 2,5 | 2,8 | 2,2 |
| ლოკერენი — აალსტი | 2,0 | 2,8 | 2,9 |
| მოლენბეკი — ბევერენი | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| ლიერსი — ჰარელბეკი | 1,5 | 3,1 | 4,7 |
| გენკი — ვესტერლო | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| გენტი — ანტვერპენი | 1,5 | 3,3 | 4,2 |

19 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ეკერენი — ანდერლეხტი | 1,9 | 3,0 | 2,9 |

## შოტლანდიის ჩემპიონატი. IX ტური

18 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| აბერდინი — ჰიბერნიანი | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| დანდი იუნაიტედი — მოზერველი | 1,6 | 3,2 | 3,8 |
| ჰარტსი — სელტიკი | 2,7 | 3,0 | 2,0 |
| კილმარნოკი — სტ. ჯონსტონი | 2,0 | 2,7 | 3,0 |
| რეინჯერსი — დანფერმლაინი | 1,1 | 5,0 | 10,0 |

## ავსტრიის ჩემპიონატი. XV ტური

18 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ზალცბურგი — ადმირა | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| ლინცერი — ტიროლი | 1,7 | 2,9 | 3,8 |
| გრაცერი — რაპიდი | 1,8 | 3,0 | 3,2 |
| ლუსტენაუ — რიდი | 1,9 | 2,9 | 3,0 |
| აუსტრია — შტურმი | 2,1 | 2,9 | 2,6 |

## შვეიცარიის ჩემპიონატი. XV ტური

19 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| არაუ — სტ. გალენი | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| ბაზელი — ციურიხი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| კარუჟი — სიონი | 3,6 | 3,3 | 1,6 |
| გრასჰოპერი — სერვეტი | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| ლოზანა — კრინსი | 1,25 | 3,6 | 7,0 |
| ლუცერნი — ქსამაქსი | 2,0 | 2,8 | 2,9 |

## თურქეთის ჩემპიონატი. X ტური

17 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ისთანბულსფორი — შექერსფორი | 1,1 | 5,0 | 10,0 |

18 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ქარაბუქსფორი — ბეშიქთაში | 4,0 | 3,1 | 1,6 |
| გალათასარაი — გაზიანთეფსფორი | 1,15 | 4,7 | 8,0 |

19 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბურსასფორი — ფენერბაჰჩე | 4,0 | 3,1 | 1,6 |
| ტრაბზონსფორი — დარდანელსფორი | 1,05 | 6,0 | 12,0 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში,
ფურცელაძის[1] ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16;
ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფოთლები ქარდაქარ

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ტორონტო — დეტროიტი 2:3**

**შაიბები: ლიდსტრიომი (0:1), სალივანი (1:1), ჯილკრისტი (1:2), დომი (2:3)**

გაახალგაზრდავებული ტორონტო წელს დიდ ყურადღებას იქცევს. მართლაც საინტერესოა, შეძლებენ თუ არა ჭაბუკი მოთამაშეები კლუბის კრიზისიდან გამოყვანას. მიუხედავად იმისა, რომ „ფოთლებმა“ არცთუ ხეირიანად დაიწყეს ჩემპიონატი, მათ თამაშში სასიკეთო ცვლილებები შეიმჩნევა. ამიტომაც იყო, ბოლომდე გავსებული ტორონტოს „გარდენი“ გუნდის კარგ თამაშს რომ ელოდა, მით უმეტეს, ფავორიტი და ჩემპიონატის ლიდერი დეტროიტი დასუსტებული შემადგენლობით ჩამოვიდა კანადაში და წამყვანი ფორვარდი შენაჰანი და პირველი გოლკიპერი ოსგუდი აკლდა.

თავიდან თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა — შვედი ლიდსტრიომის (1+1,2) გოლს მასპინძლებმა სალივანის შაიბით უპასუხეს. მაგრამ მეორე პერიოდის შუაგულში „წითელფრთიანებმა“ უმალ ისარგებლეს კანადელთა უყურადღებობით და სულ რაღაც წუთნახევარში დალასიდან გადასულმა ჯილკრისტმა ორჯერ დალაშქრა ჰილის კარი. თითქოს მატჩის ბედიც გადაწყდა, მაგრამ მასპინძლები მათი მთავარი პოლიციელის, ალბანელი ტაი დომის ლამაზმა გოლმა გამოაცოცხლა.

საფინალო სასტვენამდე „ფოთლები“ გამუდმებით უტევდნენ,მ განსაკუთრებით ბევრი მომენტი შექმნეს ორმაგი რიცხვმრავლობის დროს, მაგრამ ჩინებულად ითამაშა დეტროიტის გოლკიპერმა კევინ ჰოდსონმა. ახალგაზრდა მეკარემ, რომლისთვისაც ეს მხოლოდ მე-11 მატჩი იყო ლიგაში, სტუმრებს ორი ქულა მოუტანა.

**13 ოქტომბერი. ფლორიდა — აილენდერსი 2:2, სენტ ლუისი — კაროლინა 3:1, ფინიქსი — ჩიკაგო 2:1, ვანკუვერი — ედმონტონი 3:0, სან ხოსე — ფილადელფია 2:3, ანაჰაიმი — ბოსტონი 0:3:**

**14 ოქტომბერი. რეინჯერსი — პიტსბურგი 0:1, დალასი — კალგარი 5:4.**

მოვლენებით აღსავსე უქმეების შემდეგ სახელოვანმა ბომბარდირებმა, ეტყობა, ძალები დაზოგეს და ნაკლებად გამოირჩეოდნენ მოედნებზე. ერთადერთი, ვისზეც ეს არ ითქმის, ფილადელფიელი ერიკ ლინდროსია. მას ლიგაში პირველობა განუზრახავს და ყოველ მატჩში დიდი ჯაფა ადგას, თავისი პრეტენზიის სამართლიანობა რომ დაამტკიცოს. ლინდროსის ძალისხმევა მეტად სჭირდება „ფლაიერზს“, რომელმაც ძალზე მძიმედ დაიწყო თავისი კალიფორნიული ტურნე და ლამის დამარცხდა სან ხოსესთან. მას შემდეგ, რაც მასპინძელთა ფორვარდმა შონ ბურმა დუბლი შეასრულა, ფავორიტებს წაგების აშკარა საფრთხე დაემუქრათ, მაგრამ ძირითადი დროის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ბრინდამორმა გაათანაბრა, ოვერტაიმში კი ლინდროსმა (1+1,5) გაიტანა გადამწყვეტი გოლი. ისე, სანხოსელები მარცხს სრულიად არ იმსახურებდნენ, მარტო მეორე პერიოდში მათ 25 დარტყმა განახორციელეს, რაც სეზონის საუკეთესო შედეგია.

აუტსაიდერმა კაროლინამ რის ვაი-ვაგლახით შეძლო გათამამებული ბრეტ ჰალის შეჩერება, მაგრამ არც სხვა „ბლუზმენები“ იყვნენ გულხელდაკრეფილნი და მასპინძლები გალაღებულ სტუმრებს ვერ გაუმკლავდნენ. სენტლუისელებმა ზედიზედ მე-5 გამარჯვება იზეიმეს. ორი პასი კურტნოლის ანგარიშზეა.

ყველა ელოდა, რომ ვანკუვერთან გრეცკისა და მისი პარტნიორების შედეგიანი თამაში განმეორდებოდა, მაგრამ „რეინჯერების“ ყველა ცდა, მეტოქის კარი დაელაშქრათ, ბრწყინვალედ მოთამაშე პიტსბურგის გოლკიპერმა ტომ ბარასომ გააქარწყლა.

„პინგვინებს“ განსაკუთრებით მეორე მესამედში გაუჭირდათ, როცა გამუდმებით მოიერიშე რეინჯერსმა 22-ჯერ დაარტყა ბარასოს კარში და არაერთი ხელსაყრელი მომენტი შექმნა. ვერაფერმა გაჭრა: სტუმართა მეკარემ სასწაულები მოახდინა და კარიერაში 24-ე „მშრალი“ მატჩი მიითვალა. ასე, მოგებით დაიწყო პიტსბურგმა თავისი 8-მატჩიანი საგარეო ტურნე. ბარასოს თავგამოდება მით უფრო გასაკვირია, რომ შარშან მან მხოლოდ 5 მატჩი ჩაატარა და ისიც უხეიროდ, შემდეგ დაშავდა კიდეც და კარგა ხანს სათადარიგოებში გადაინაცვლა. ნიუიორკელმა ლაფონტენმა დაასრულა 5-მატჩიანი იღბლიანი სერია (4 გოლი და 2 პასი), მის პარტნიორ სკრუდლანდს კი არ გაუმართლა — მძიმე ტრავმა მიიღო.

ამჯერად თავისი სიტყვა ვერ თქვეს ჩიკაგოსა და ფინიქსის ლიდერებმა ჟამნოვმა და რენიკმა. რუსი თავის გუნდს ოდნავაც არ ჩამორჩება უნიათობაში. „კოიოტებთან“ წაგება ზედიზედ მე-5 იყო ჩიკაგოელთათვის, რაც მათ ისტორიაში ყველაზე უარესი შედეგია. მიუხედავად იმისა, რომ სტუმრებმა უკვე 28-ე წამზე გახსნეს ანგარიში, ფინიქსმა, რომლის რიგებშიც, როგორც იქნა, გამოირჩა შარშანდელი ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი კეიტ ტკაჩუკი (1+1,1), საქმე მოგებამდე მიიყვანა.

ერთობ უსუსურად გამოიყურება ანაჰაიმის თავდასხმა, რომელსაც აშკარად ეტყობა პოლ კარიას არყოფნა. ამჯერად „იხვებმა“ ვერაფერი მოუხერხეს ბოსტონელ ჯიმ კერის (27 მოგერიება) და 4 მატჩში გატანილი 6 გოლით ჩიკაგოსთან ერთად ყველაზე დაბალშედეგიანნი არიან ლიგაში.

ასეთივე ანგარიშით მოუგო შინ ვანკუვერმა ედმონტონს, მაგრამ გუნდის ლიდერები — მესიე და ბური საკადრისად ვერ გაუძღვნენ გუნდს. არადა, რეინჯერსთან დამარცხების შემდეგ მათგან მეტს ელოდნენ. გადამწყვეტი ვანკუვერთან ახალკონტრაქტგაფორმებული ჰედიკანის შაიბა აღმოჩნდა. ვანკუვერის შარშანდელი საუკეთესო სნაიპერი, პირველი გოლის გამტანი მარტინ ჟელინა კი მძიმედ დაშავდა.

წყნარი ოკეანის აუტსაიდერ კალგარის სულაც არ ეტყობოდა, დეტროიტთან მძიმე ბრძოლა რომ გადაიტანა. მან ფავორიტ დალასსაც მედგარი წინააღმდეგობა გაუწია და მთელი მატჩის განმავლობაში წინ იყო, მაგრამ ბოლოს მაინც გაუშვა ხელიდან ინიციატივა. ახალ ორწლიან კონტრაქტზე შეთანხმებულმა დერიან ჰეჩერმა მასპინძელთა შემადგენლობაში ჩატარებული თავისი პირველივე მატჩი გოლით აღნიშნა და ოვერტაიმში გადაიყვანა თამაში. აქ კი იღბალი დალასელთა მხარეს იყო. მატჩის გმირი „ვარსკვლავთა“ ვეტერანი პეტ ვერბიკი გახდა, რომელმაც სასტარტო ნავსი გატეხა და ერთბაშად 2 გოლი და 2 პასი მიითვალა. ამას გუნდის მთავარი ბომბარდირის მოდანოს 3 პასიც მოჰყვა.

და ბოლოს, მიღწევებზე: დეტროიტელმა ლარი მერფიმ მე-800 პასი გააკეთა, ზემოხსენებულმა ჰალმა წინა შეხვედრაში 534-ე გოლი გაიტანა და მე-18 ადგილიდან ლეგენდარული ფრენკ მაჰოვლიჩი განდევნა, სანხოსელი ბერნი ნიკოლზი 713 პასით საუკეთესო ოცდაათეულში შევიდა, ხოლო პიტსბურგელი ფრენსისი 1353 ქულით მე-14 ადგილზე გი ლეფლერს შეუერთდა.

### სამჟელ ლარიბიანი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| პიტსბურგი | 7 | 3 | 1 | 3 | 16-18 | 7 |
| ბოსტონი | 6 | 3 | 0 | 3 | 17-19 | 6 |
| ოტავა | 6 | 2 | 2 | 2 | 14-17 | 6 |
| მონრეალი | 4 | 2 | 1 | 1 | 11-9 | 5 |
| ბუფალო | 6 | 2 | 1 | 3 | 15-17 | 5 |
| კაროლინა | 7 | 1 | 1 | 5 | 14-22 | 3 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| კოლორადო | 6 | 4 | 2 | 0 | 18-10 | 10 |
| ვანკუვერი | 5 | 2 | 1 | 2 | 13-13 | 5 |
| ედმონტონი | 6 | 2 | 1 | 3 | 12-21 | 5 |
| ლოს-ანჯელესი | 6 | 1 | 3 | 2 | 22-21 | 5 |
| სან ხოსე | 6 | 2 | 0 | 4 | 15-16 | 4 |
| ანაჰაიმი | 4 | 1 | 1 | 2 | 6-9 | 3 |
| კალგარი | 6 | 0 | 2 | 4 | 12-19 | 2 |
| **ატლანტიკა** | | | | | | |
| ვაშინგტონი | 6 | 5 | 0 | 1 | 25-13 | 10 |
| ფილადელფია | 7 | 5 | 0 | 2 | 22-15 | 10 |
| ნიუ ჯერსი | 5 | 3 | 0 | 2 | 13-12 | 6 |
| რეინჯერსი | 6 | 1 | 4 | 1 | 14-12 | 6 |
| ტამპა | 5 | 2 | 1 | 2 | 12-11 | 5 |
| აილენდერსი | 5 | 1 | 2 | 2 | 11-13 | 4 |
| ფლორიდა | 4 | 1 | 1 | 2 | 11-13 | 3 |
| **ცენტრი** | | | | | | |
| დეტროიტი | 6 | 5 | 1 | 0 | 24-10 | 11 |
| სენტ ლუისი | 6 | 5 | 0 | 1 | 21-12 | 10 |
| დალასი | 6 | 3 | 1 | 2 | 17-17 | 7 |
| ფინიქსი | 6 | 3 | 1 | 2 | 17-17 | 7 |
| ტორონტო | 6 | 1 | 1 | 4 | 8-15 | 3 |
| ჩიკაგო | 5 | 0 | 0 | 5 | 6-22 | 0 |

ბომბარდირები: ლინდროსი 11 (5+6), ლეკლერი (ორივე — ფილადელფია) და მოდანო (დალასი) 10 (5+5), შტუმპელი (ლოს-ანჯელესი) 10 (4+6), დიუშენი (სენტ ლუისი) და ლიდსტრიომი (დეტროიტი) 10 (2+8), გელი (ლოს ანჯელესი) 9 (2+7), ჰალი (სენტ ლუისი) 8 (7+1), სტილმანი (კალგარი) 8 (5+3), მაკინისი (სენტ ლუისი) 8 (4+4), ოუთსი 8 (3+5), ჟიუნო (ორივე — ვაშინგტონი) 8 (1+7)

## ჰოკეი

### ევროლიგა

ევროლიგაში მეორე ტური დასრულდა. მეორე შეხვედრაში ტოლიატის „ლადამ“ (E ჯგუფი) 7:1 სძლია სტუმრად საფრანგეთის „ამუნს“ და 5 ქულით პირველ ადგილზე დამკვიდრდა. „ლადას“ მთავარ მეტოქეს, ჩეხეთის ჩემპიონ „ვშეტინს“ საკმაო ძალისხმევა დასჭირდა შვეიცარიის „ცუგის“ დასამარცხებლად — 5:3. „ლადას“ მოსკოვის „დინამომ“ (F ჯგუფი) და იაროსლავლის „ტორპედომაც“ მიბაძეს. თუმცა, მოსკოველებმა ძირითად დროში ვერა და ვერ დაძლიეს აუტსაიდერ „მანჩესტერის“ წინააღმდეგობა და მხოლოდ ოვერტაიმში ხარიტონოვის მიერ შეგდებული შაიბის წყალობით აარიდეს თავი ბულიტების ლატარიას — 3:2. ჩეხეთის „სპარტამ“ სძლია იტალიის „ბოლცანოს“ 4:1.

იაროსლავლის „ტორპედომ“ სლოვაკეთის „სლოვანთან“ პირველივე პერიოდში შეაგდო ორი უპასუხო შაიბა და მერე გასაქანი აღარ მისცეს მეტოქეს — 2:0. გუნდი 6 ქულით დაწინაურდა D ჯგუფში. ყველაზე დიდი სენსაცია კი ამავე ჯგუფის მეორე შეხვედრაში მოხდა — სუპერთასის და ევროლიგის პირველი გათამაშების გამარჯვებულმა, ფინეთის ტპს-მ შვედეთში ვერაფერი გააწყო ადგილობრივ „ლულეოს“ წინააღმდეგ და საბოლოოდ 1:5 განადგურდა.

შვედეთისა და ფინეთის კლუბების პრინციპულ ბრძოლაში შვედების უპირატესობა აშკარაა. „ლულეოს“ წარმატებას ქვეყნის ჩემპიონის „ფერიესტადის“ კარგი თამაშიც დაემატა და პირველ ტურში მთავარ კონკურენტ ფინეთის „იოკერიტთან“ (A ჯგუფი) გამარჯვების შემდეგ მათ ჩეხეთის „ვიტკოვიცესაც“ მოუგეს სტუმრად 4:2. თავად „იოკერიტი“ კი გერმანიის [illegible] 4:4.

სამაგიეროდ, B ჯგუფში მოთამაშე შვედეთის „ლექსანდსმა“ მომდევნო ტურში ფინეთის ჰპკ-სთან შეხვედრამდე გერმანიაში „კასელთან“ წააბორძიკა — 5:8. ამასობაში ჰპკ-მ 3:2 მოუგო სლოვაკეთის „ტრენჩინს“ და 6 ქულით პირველ ადგილზე გავიდა.

C ჯგუფში მოულოდნელად ნორვეგიის „სტურჰამარი“ დაწინაურდა. სკანდინავებმა ავსტრიის „ფელდკირხთან“ ზედიზედ მეორე საშინაო მატჩი მოიგეს სვენდსბერგეტის ჰეთ-თრიქის წყალობით — 3:1, „კიოლნმა“ კი სტუმრად შვეიცარიის „ბერნი“ დაამარცხა 5:4.

გუშინწინ სენსაციაც მოხდა: E ჯგუფში „ცუგმა“ „ლადას“ 4:1 მოუგო.

## ჩოგბურთი

# პირველობა ყველას უნდა

ჩოგბურთო სეზონი დასასრულს უახლოვდება და ქალებიც და კაცებიც წლის დამაგვირგვინებელ მსოფლიოს ჩემპიონატებზე მოსახვედრად ფაციფუცობენ.

კაცებს შორის 10-16 ნოემბერს დანიშნულ ATP-ის ჩემპიონატზე ადგილი მხოლოდ სამ ჩოგბურთელს — ამერიკელებს პიტ სამპრასსა და მაიკლ ჩანგს და ავსტრალიელ პატრიკ რაფტერს აქვთ დაბევებული, დანარჩენებს კი იქ მოსახვედრად დიდი ოფლისღვრა დასჭირდებათ. ჰანოვერში წასასვლელად უპირატესობა დარბაზის სწრაფ კორტებზე თამაშის ოსტატებს ენიჭებათ. დაგროვებული ქულებისა და მომავალი ტურნირების სპეციფიკის გათვალისწინებით ჰანოვერში გამგზავრების საუკეთესო შანსებს ინარჩუნებენ: ინგლისელი გრეგ რუზეცკი, ხორვატი გორან ივანიშევიჩი, ესპანელი კარლოს მოია და შვედი იონას ბიორკმანი. ამჟამად კლასიფიკაციაში მეშვიდე ადგილზე მყოფმა ევგენი კაფელნიკოვმა დარჩენილი ოთხი ტურნირიდან სამის ფინალამდე მაინც უნდა მიაღწიოს, რადგან



გორან ივანიშევიჩი ვენაში გამარჯვების შემდეგ კლასიფიკაციაში მეცხრედან მეხუთე ადგილზე გადახტა

შარშან ამ დროს ერთობ მოუწადინებია და ექვსასიოდე ქულა აქვს დასაცავი. საუკეთესო რვა ჩოგბურთელს შორის ალბათ ვერ მოხვდებიან ესპანელი მეთიხნარეები — სერხი ბრუგერა, ალექს კორეჩა და ფელიქს მანტია, ასევე კიკინიანი ჩილელი მარსელო რიოსი და ავსტრიელი ტომას მუსტერი. როლან გაროსის წლევანდელ გამარჯვებულს — ბრაზილიელ გუგა კერტენს შარშანდელი ქულების დაცვა სადარდებელი ნამდვილად არა აქვს, მაგრამ ისეთი თამაშით, ამ ბოლო ხანებში რომ უჩვენებს, ჰანოვერში მაყურებლად თუ დაუშვებენ. ATP-ის მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოხვდებიან მისი შარშანდელი მონაწილეები: ამერიკელი ანდრე აგასი, შვედი ტომას ენკვისტი და ფინალისტი ბორის ბეკერი. მცირე შანსები აქვს შარშანდელ ნახევარფინალისტს, ჰოლანდიელ რიჩარდ კრაიჩეკსაც. რაც შეეხება ბორის ბეკერს, ამ კვირაში, პირველად უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში, მისთვის საუკეთესოთა ოცეულში არ მოინახა ადგილი (22-ეა) და თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ გაისად დიდ ტურნირებში აღარ იასპარეზებს, ალბათ, საბოლოოდაც. შარშანდლისგან განსხვავებით, როცა პიტ სამპრასს კონკურენტებიც კი არა ჰყავდა, მსოფლიოს პირველი ჩოგნის ბედი მხოლოდ ჰანოვერში გადაწყდება.

ქალების WTA-ს მსოფლიოს ჩემპიონატზე, კაცებისგან განსხვავებით, 16 ჩოგბურთელი მონაწილეობს. ამიტომ იქ დაბევებულთა და მოსურნეთა რიცხვიც გაცილებით მეტია. 17-23 ნოემბერს ნიუ იორკში ნამდვილად იასპარეზებენ — მარტინა ჰინგისი, იანა ნოვოტნა, მონიკა სელეში, ივა მაიოლი, ამანდა კუტცერი, ლინდსი დევენპორტი, ირინა სპირლეა, მარი პირსი, არანჩა სანჩესი და კონჩიტა მარტინესი, კანდიდატების ჩამოსათვლელად კი ქალთა ასეულის ნახევრის ჩამოწერა იქნებოდა საჭირო. მიუხედავად იმისა, რომ წელს დაგროვებულმა ქულებმა შეიძლება შტეფი გრაფს ნიუ იორკში ასპარეზობის შესაძლებლობა მისცეს, გერმანელი თავის შარშანდელ ტიტულს, ალბათ, მაინც არ დაიცავს და ჩოგბურთში დაბრუნებას ავსტრალიის ღია პირველობაზე შეეცდება.

**ავთანდილ სვანიძე**

### კაცთა საუკეთესო ოცეული

| | | |
|---|---|---|
| 1 (1) | პიტ სამპრასი (აშშ) | 4291 |
| 2 (2) | მაიკლ ჩანგი (აშშ) | 3385 |
| 3 (3) | პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) | 2889 |
| 4 (9) | გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) | 2581 |
| 5 (4) | გრეგ რუზეცკი (ინგლისი) | 2564 |
| 6 (5) | კარლოს მოია (ესპანეთი) | 2451 |
| 7 (6) | ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) | 2427 |
| 8 (7) | სერხი ბრუგერა (ესპანეთი) | 2357 |
| 9 (8) | მარსელო რიოსი (ჩილე) | 2318 |
| 10 (10) | ალექს კორეჩა (ესპანეთი) | 2251 |
| 11 (11) | გუსტავო კერტენი (ბრაზილია) | 2240 |
| 12 (12) | ტომას მუსტერი (ავსტრია) | 2239 |
| 13 (13) | იონას ბიორკმანი (შვედეთი) | 2182 |
| 14 (14) | ფელიქს მანტია (ესპანეთი) | 2127 |
| 15 (15) | პეტერ კორდა (ჩეხეთი) | 2029 |
| 16 (17) | რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) | 1999 |
| 17 (16) | ტომას ენკვისტი (შვედეთი) | 1899 |
| 18 (18) | მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) | 1887 |
| 19 (21) | ტიმ ჰენმანი (ინგლისი) | 1873 |
| 20 (20) | ალბერტ კოსტა (ესპანეთი) | 1819 |

### ქალთა საუკეთესო ოცეული

| | | |
|---|---|---|
| 1 (1) | მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 6842 |
| 2 (2) | იანა ნოვოტნა (ჩეხეთი) | 3816 |
| 3 (3) | მონიკა სელეში (აშშ) | 3429 |
| 4 (4) | ივა მაიოლი (ხორვატია) | 3121 |
| 5 (6) | ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკა) | 3085 |
| 6 (5) | ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 2911 |
| 7 (9) | ირინა სპირლეა (რუმინეთი) | 2418 |
| 8 (8) | მარი პირსი (საფრანგეთი) | 2400 |
| 9 (11) | არანჩა სანჩეს ვიკარიო (ესპანეთი) | 2156 |
| 10 (10) | კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) | 2136 |
| 11 (7) | ანკე ჰუბერი (გერმანია) | 2088 |
| 12 (12) | მერი ჯო ფერნანდესი (აშშ) | 1970 |
| 13 (14) | სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) | 1718 |
| 14 (13) | შტეფი გრაფი (გერმანია) | 1663 |
| 15 (15) | ბრენდა შულც-მაკარტი (ჰოლანდია) | 1634 |
| 16 (16) | რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი) | 1443 |
| 17 (17) | საბინე აპელმანსი (ბელგია) | 1403 |
| 18 (18) | ბარბარა პაულუსი (ავსტრია) | 1386 |
| 19 (23) | ლაიზა რეიმონდი (აშშ) | 1358 |
| 20 (20) | იაუკ ბაზუკი (ინდონეზია) | 1299 |

### წელს ვინ რამდენი $ მოიხვეჭა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | პიტ სამპრასი | 3 905 078 | 1. მარტინა ჰინგისი | 3 216 911 |
| 2. | პატრიკ რაფტერი | 2 432 974 | 2. ივა მაიოლი | 1 143 187 |
| 3. | გუსტავო კერტენი | 1 522 623 | 3. ლინდსი დევენპორტი | 1 141 631 |
| 4. | ევგენი კაფელნიკოვი | 1 461 962 | 4. იანა ნოვოტნა | 974 740 |
| 5. | მაიკლ ჩანგი | 1 331 850 | 5. მონიკა სელეში | 862 580 |
| 6. | გრეგ რუზეცკი | 1 324 473 | 6. არანჩა სანჩეს ვიკარიო | 739 717 |
| 7. | მარსელო რიოსი | 1 303 010 | 7. მერი ჯო ფერნანდესი | 702 942 |
| 8. | იონას ბიორკმანი | 1 231 680 | 8. ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) | 694 173 |
| 9. | ტომას მუსტერი | 1 193 790 | 9. მარი პირსი | 670 689 |
| 10. | ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) | 1 177 318 | 10. ამანდა კუტცერი | 627 734 |
| 11. | ალექს კორეჩა | 1 113 372 | 11. ირინა სპირლეა | 570 643 |
| 12. | სერხი ბრუგერა | 1 063 908 | 12. ჯიჯი ფერნანდესი (აშშ) | 444 132 |
| 13. | ფელიქს მანტია | 1 043 583 | 13. კონჩიტა მარტინესი | 442 524 |
| 14. | მარკ ვუდფორდი (ავსტრალია) | 1 029 827 | 14. ვინუს ვილიამსი (აშშ) | 427 536 |
| 15. | პეტერ კორდა | 1 026 333 | 15. ლაიზა რეიმონდი | 376 070 |
| 16. | გორან ივანიშევიჩი | 995 607 | 16. სანდრინ ტესტიუ | 374 458 |
| 17. | სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) | 912 631 | 17. რუქსანდრა დრაგომირი | 361 397 |
| 18. | ალბერტ კოსტა | 864 684 | 18. ანკე ჰუბერი | 856 650 |
| 19. | მარკ ფილიპუსისი | 861 411 | 19. მანონ ბოლეგრაფი | 348 229 |
| 20. | კარლოს მოია | 803 390 | 20. იაუკ ბაზუკი | 338 109 |

### ახალი ზელანდიის პირველობა

AIR NEW ZEALAND NPC

ბოლო, IX ტური. 10-12.10: ჩრდ. ნავსაყუდელი (ოქლენდი) 6 (6) (2ს) — ვაიქათო (ჰამილთონი) 19 (9) (ლ, გ, 4ს)

ოქლენდი 44 (34) (ნლ: ტონუუ 3, ლიმა, ქლარქი, ზ. ბრუქი; 4გ: ქემმორი 2, სპენსერი 2; 2ს: ქემმორი) — ველინგთონი 42 (28) (ნლ: ტენანა 2,ოპალორანი 2, ლეიასამაივაობ ფეაუნატი; ნგ: პრესთონი)

ქენთებრი (ქრაისთჩერჩი) 40 (19) (ნლ: სოოალო 2, სექსთონი, ნეპია, მეთსონი, პერფექთი; 5გ: მერთენსი) — თარანაქი (ნიუ-პლიმუთი) 21 (7) (3ლ, 3გ); ქაუნთიზ-მანუკაუ (პუკეკოე) 85 (36) (12ლ: თ. მარში 4, გ. მარში 2, ლომუ 2, ვიდირი, ...; 11გ, ს) — საუსლენდი (ინვერქარგილი) 17 (12) (3ლ, გ)

| I ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | + | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვაიქათო | 8 | 7 | - | 1 | 4 | 234:132 | 32 |
| ქენთებრი | 8 | 6 | - | 2 | 5 | 259:137 | 29 |
| ოქლენდი | 8 | 5 | - | 3 | 7 | 216:199 | 27 |
| ქაუნთ-მანუკაუ | 8 | 6 | - | 2 | 2 | 225:161 | 26 |
| ოთაგო (დანიდ.) | 8 | 4 | - | 4 | 5 | 211:193 | 21 |
| ველინგთონი | 8 | 3 | - | 5 | 6 | 207:287 | 18 |
| თარანაქი | 8 | 2 | - | 6 | 4 | 216:260 | 12 |
| ჩრდ. ნავსაყუდ. | 8 | 2 | - | 6 | 2 | 116:179 | 10 |
| საუსლენდი | 8 | 1 | - | 7 | 5 | 171:308 | 9 |

ნახევარფინალები. 18.10: ვაიქათო — ქაუნთიზ-მანუკაუ, ქენთებრი — ოქლენდი

მელელოვეები: სოოალო (ქენთ) 10; ტენანა (ველ) 9; ოპალორანი (ველ) 7; რობინსონი (თარ) და თ. მარში (ქაუნთ) 6; ბარი და ვილსონი (ორივე ოთაგო), ალატინი (საუს) და ტონუუ (ოქლ) 5

II ჯგუფი (8 თამაშიდან): ნორსლენდი (ფონგარეი) 40 ქულა, სიუხვის ყურე (როტორუა) და ვიკინგები (ყოფილი მანავატუ, პალმერსთონ-ნორსი) 30, სამეფო ქვეყანა (ტეკუიტი) 26; ნელსონის ყურე (ნელსონი) 22, ვაირარაპა-ბუში (მასთერთონი) 14, ვანგანუი 8, თემზის დაბლობი (პაეროა) 5, სამხრ. ქენთებრი (თიმარუ) 3. ნახევარფინალები: ნორსლენდი — სამეფო ქვეყანა, სიუხვის ყურე — ვიკინგები

III ჯგუფი (7 თამაშიდან): ჩრდ. ოთაგო (ოამარუ) და სიდუხჭირის ყურე (გისბორნი) 28, მალბრო (ბლენემი) 26, პოროფენუა (ლივინი) 19; შუა ქენთებრი (აშბერთონი) 17, ალმ. ნაპირი (რუატორია) 12, ბულერი (ვესთპორტი) 5, დას. ნაპირი (გრეიმუთი) 4; პოქის ყურეს (ნეიპირი) არ უთამაშია. ნახევარფინალები: ჩრდ. ოთაგო — პოროფენუა, სიდუხჭირის ყურე — მალბრო



# ძრწოდეთ, პომებო! ლომუ მოდის!

ნოემბერ-დეკემბერში ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსს“ 9-მატჩა ბრიტანული ტურნე ელის. მას აღარ დაავირგვინებს „ბარბაროსებთან“ ტრადიციული შერკინება. სამაგიეროდ, სტუმრები ერთბაშად ოთხ ტესტს გამართავენ: 15 ნოემბერს ირლანდიასთან, 22 ნოემბერს — ინგლისთან, 29 ნოემბერს — უელსთან, 6 დეკემბერს კი — ისევ ინგლისთან.

„პომებთან“ ორგზის შებმა პროფესიული ხანის მოტანილია. გარდა ამისა, პირველად მოხდება, რომ ფეხბურთის გამოჩენილი სტადიონები მორაგბეთა ასპარეზად იქცევიან: ინგლისს პირველ მატჩს ზელანდიელები მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე“ გაუმართავენ, უელსს კი ლონდონის „უემბლიზე“ ეთამაშებიან.

„ოლ ბლექსის“ 36-კაცა სატურნეო გუნდი ორშაბათს გამოქვეყნდა. მოეწყო საგანგებო პრეზენტაცია, რომელზეც მედიას ყველა რჩეული შეახვედრეს.

ქვეყანამ შვებით ამოისუნთქა — ეროვნულ გუნდს თითქმის არავინ მოუსაკლისებია. კაპიტანი კვლავაც ბებერი კვაჰი შონ ფითსპატრიკი იქნება. დიდი რვა ნომერი ზინზან ბრუქიც, ჩაისად ლონდონის „ჰარლიქვინზში“ რომ აპირებს გადასვლას, ისევ უდირიჟორებს მატჩისწინა „ჰაკას“. და რაც მთავარია, მწვრთნელმა და მთავარმა სელექტორმა ჯონ ჰართმა გუნდში მაინც უხმო 22 წლის გარემარბ ჯონა ლომუს, ვისაც ექვსი თვე თირკმლების წამლობის გამო გაუცდა, კიდევ ორი კი — სხეულის დასაწმენდად და ფორმაში შესასვლელად.

ლომუს ჰართი წინდაწინ შეეხმიანა და გუნდში აყვანის განზრახვა გაუმხილა. ამან მთაკაცი ისე აალელვა, რომ მთელი ღამე ვერ მოხუჭა თვალი.

ჯონა რაგბში თანდათან დაბრუნდა — თუ თავიდან 20 წუთს თამაშობდა, ეროვნული პირველობის ბოლო ტურში მთელი მატჩი შეუცვლელად ითამაშა და ჯიქური რეიდებით ორი ლელოც გაიტანა. ამით საბრალო საუსლენდი დაუბრუნდა მეორე ჯგუფს, მაგრამ შესაძლოა მაინც დარჩეს უძლიერეს კომპანიაში, თუკი რაგბის კავშირი მიიღებს თარანაქის წინადადებას, ესაო და ყოველ ტურში ერთი გუნდი კენტად რომ გვირჩება, ამის აღმოსაფხვრელად მონაწილეთა რიცხვი გავაათოთო.

ბოლოსწინა ტურში ვაიქათომ გარდამავალი „რანფერლის ფარი“ რომ წაართვა ოქლენდს, ველინგთონი ბოლოში ჩემპიონებს მისთვის ველარ ეცილა. ხალხს გულმა უგრძნო, ზინზანს „იდენ პარკზე“ უკანასკნელად ვჭვრეტთო და თამაში რომ დასრულდა, დიდი მორაგბე ზე აწია და მოედნიდან ასე გაიყვანა. მერე ბრუქმა მიკროფონი მოიშორა, რათა არ ეტირა.

ველინგთონმა ოქლენდს უფაროდაც ფრიადი ბურთაობა გაუმართა. მეტოქეებმა ექვს-ექვსი ლელო გაიტანეს. სტუმრები საათის თავზე 42:34 იგებდნენ, მაგრამ მერე ოქლენდის 9 ნომერმა ოფისა ტონუუმ მესამე ლელო გაუტანათ, თუმც კი ნაკრებში მაინც ვერ მოხვდა.

ლუკა ჯორჯიაშვილი



ზელანდიის პირველობის უპირველესი მელელოვე ქენთებრის სამოელი გარემარბი ადამი სოოალო გახდა

# ჯერ თასის ფინალი, მერე რევოლუცია

მსოფლიო ჩემპიონთა ქვეყანაში 4 ნოემბერს გადატრიალებაა დანიშნული — რაგბის კავშირის პრეზიდენტის არჩევნებზე მავანი ძალები დოქტორ ლუი ლეიტის დამხობას აპირებენ.

ოპოზიციას კავშირისავე ზანგი ვიცე-პრეზიდენტი მლულეკი ჯორჯი თავკაცობს. იგი საზლვის პროვინციის რაგბის კავშირის მამაა და ახლა ლეიტის სავარძლის დაკავებაც წადია. თავკერძა მილიონერი მლულეკის დღესაც გულითად მეგობრად მიაჩნია, მაგრამ ამბობს, ლეიტმა წარსულში თუმც დიდი ღვაწლი დადო მსოფლიო და აფრიკულ რაგბს, ბოლო ორი წელია თამაშის მთავარ შემფერხებლად იქცა, რაკი ყველგან დიქტატურა დაამყარაო.

ლეიტს სხვა კონკურენტიცა ყავს — ნატალის რაგბის კავშირის წინამძღოლი ქის პარკინსონი. ეს პროვინცია ბოლო წლებია დომინირებს აფრიკულ რაგბში და არც ლეიტის ვოლუნტარისტულ გადაწყვეტილებებს ეპუება — სასამართლოში უჩივის.

არჩევნებამდე ჯერ კიდევ შორია — ზეგ ქარრის თასის ნახევარფინალებია, იქეთა შაბათს კი ფინალიც. ნატალმა ბოლო ტურს წაუგებლად მიატანა, მაგრამ სტუმრად ვერაფერი მოუხერხა პრეტორიის გუნდს, რომელსაც ჩრდილოეთი ტრანსვაალის მაგივრად ამიერიდან ოფიციალურად ეწოდება „ლურჯი ხარები“, რაკი განახლებულ ქვეყანაში რასიზმის გადმონაშთი ტრანსვაალის ხსენებაც აღარ შეიძლება.

ნატალის მარცხით იხეირა ქეიფთაუნის დასავლეთმა კონცხმა — გაუსწრო და თუ ფინალში გავა, ამ თამაშს შინ, „ნიულენდსზე“ გამართავს.

ნიკო ვეფხვაძე

### სამხრეთი აფრიკის ქარრის თასი

BANKFIN CURRIE CUP

ბოლო ტური. 10-11.10: სამხრ. დას. კონცხი (ჯორჯი) 26 (16) (2ლ, 2გ, 4ს) — დას. კონცხი (ქეიფთაუნი) 32 (17) (4ლ, 3გ, 2ს); პაუტენგის შავარდნები (ბრაკპანი) 24 (24) (3ლ, 3გ, ს) — გრიკვალენდი (ქიმბერლი) 45 (19) (7ლ, 5გ); ჩრდ. ნატალი (ველკომი) 29 (17) (4ლ, 3გ, ს) — ჩრდ. დასავლეთი (პოჩეფსტრუმი) 44 (13) (6ლ, 4გ, 2ს)

ჩრდ. ტრანსვაალის ლურჯი ხარები (პრეტორია) 33 (20) (3ლ: ნ. ფანდერვალტი, ბაუერი, ლუფსი; 3გ: ბაუერი; 4ს: ბაუერი 3, სთეინი) — ნატალი (დურბანი) 28 (6) (3ლ: კ. ფანდერვესტჰოიზენი 2, პეინი; 2გ და 3ს: ლოლისი)

საზლვარი (ისთ-ლონდონი) 28 (23) (4ლ, გ, 2ს) — ალმ. კონცხი (პორტ-ელიზაბეთი) 23 (13) (3ლ, გ, 2ს); ბოლანდი (ველინგთონი) 17 (10) (3ლ, გ) — მპუმალანგა (ვიტბანკი) 37 (17) (4ლ, 4გ, 3ს)

პაუტენგის ლომები (იოჰანესბურგი) 24 (14) (4ლ: დელპორტი 2, ქრ. როსუ 2; 2გ: ი. რუ) — ნარინჯი (ბლუმფონტეინი) 53 (22) (8ლ: ფანვიკი 2, სმითი 2, ფანრენსბურგი, ელსი, პ. მულერი, დებეერი; 5გ და ს: დებეერი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | + | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დას. კონცხი | 13 | 12 | 0 | 1 | 567:286 | 10 | 58 |
| ნატალი | 13 | 12 | 0 | 1 | 566:241 | 9 | 57 |
| ნარინჯი | 13 | 11 | 0 | 2 | 651:234 | 10 | 54 |
| ლომები | 13 | 9 | 0 | 4 | 562:399 | 9 | 45 |
| ჩრდ. ტრანსვ. | 13 | 8 | 0 | 5 | 382:341 | 8 | 40 |
| გრიკვალენდი | 13 | 7 | 1 | 5 | 410:313 | 9 | 39 |
| ბოლანდი | 13 | 6 | 1 | 6 | 464:386 | 12 | 38 |
| სამხრ. დასავლ. | 13 | 7 | 0 | 6 | 362:365 | 8 | 36 |
| მპუმალანგა | 13 | 4 | 0 | 9 | 321:438 | 6 | 22 |
| შავარდნები | 13 | 3 | 0 | 10 | 349:600 | 6 | 18 |
| საზღვარი | 13 | 3 | 0 | 10 | 277:569 | 5 | 17 |
| ჩრდ. ნარინჯი | 13 | 3 | 0 | 10 | 344:744 | 5 | 17 |
| ჩრდ. დასავლ. | 13 | 3 | 0 | 10 | 346:507 | 4 | 16 |
| ალმ. კონცხი | 13 | 2 | 0 | 11 | 284:462 | 4 | 12 |

ნახევარფინალები. 18.10: დას. კონცხი — ლომები, ნატალი — ნარინჯი

# დუბლინში წილი ყარეს

სამშაბათს გაირკვა, თუ 8-9 ნოემბერს ვინ ვის ეთამაშება როგორც ელიტარული ევროპის თასის, ასევე ნაკლებ პრესტიჟული ევროპის კონფერენციის მეოთხედფინალებში.

თასი: ვოსფსი (ლონდონი, ინგლისი) — ბრივი (საფრანგეთი) ან პონტიპრიზი (უელსი); ტულუზი (საფრანგეთი) — ჰარლიქვინზი (ლონდონი, ინგლისი), ბასი (ინგლისი) — კარდიფი ან ჰლანეჰლი (ორივე უელსი), პო (საფრანგეთი) — ლესთერი (ინგლისი) ან გლაზგო (შოტლანდია)

კონფერენცია: კოლომიე — მონფერანი, აჟონი (სამივე საფრანგეთი) — ქონოთი (ირლანდია), სტად ფრანსეზი (პარიზი, საფრანგეთი) — გლოსთერი, ნიუკასლი (ორივე ინგლისი) — კასტრი (საფრანგეთი)

თასზე 5 ჯგუფი რომ იყო, მეოთხედფინალში ოდენ გამარჯვებულები გავიდნენ, მეორე ადგილოსნები და საუკეთესო მესამე კი 1-2 ნოემბერს სამ მერვედფინალს გამართავენ.

თბილისში დაარსდა კიდევ ერთი ბავშვთა გუნდი — „შევარდენი“, რომელიც სარაგბოდ ეპატიჟება 1983-88 წლებში დაბადებულ ბიჭებს. მწვრთნელები — ნიკო ჭავჭავაძე (ტელ. 34 35 83), შოთა ლაზაშვილი და სოსო ჭელიძე (35 07 77) ვარჯიშებს დიდუბეში, მაუდ-კამვოლის კომბინატის სტადიონზე ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს ოთხის ნახევარზე, შაბათობით კი დღის ორ საათზე იწყებენ

## აფროსნობა

# მუხთალი კუნძული

სამხრეთი განედის 20 გრადუსზე მდებარე ბრაზილიური კუნძულის — ტრინიდადეს შემოვლამ გააწამა მთელი ფლოტი. საქმე ისაა, რომ მაღალწნევიანი სუბ-ტროპიკული ჰაერის ნაკადი ამ კლდოვან წარმონაქმნს რომ ეჯახება, გაუხშოებულ სივრცეს წარმოშობს, რის გამოც იახტა ლამისაა გააქვაოს. მერე და მერე, ნავი უქარო ზოლს რომ დააღწევს თავს, ისეთ შტორმში ხვდება, რომ მტრისას.

ლიდერებმა ეს ყველაფერი უკვე გამოცადეს. გუშინწინ მათ 12-13 კვანძა ქარში მოუწიათ ნაოსნობა, გუშინ კი 35 კვანძა ზურგქარი რომ დაიბევეს, ისე გაქანდნენ, რომ დღე-ღამეში 370 მილამდე გალიეს და ჩამორჩენილებს მეტად დაშორდნენ. ერთი ეგაა, რომ დაწინაურებულთა რიგი არ შეცვლილა. ლიდერი კვლავაც შვედური ნავია, რომელსაც ამერიკელი კაპიტნობს.

მიხო ნინუა



„მერით ქაფი“ ტრინიდადესთან ფხიზლობს

### ვითბრედის გარსაქვეყნო ნაოსნობა ვოლვოს თასზე

I სტადია. საუთჰემპთონი — ქეიფთაუნი

21 სექტემბერი —, 22 ოქტომბერი (7350 მილი)

ვითარება გუშინ, გრინვიჩის დროით 06.00 საათზე

| იახტა | დროშა | სკიპერი | დარჩა |
|---|---|---|---|
| ი-ეფ ლენგვიჯ | შვედეთი | პ. კაიარდი | 1978 |
| მერით ქაფ | მონაკო | გ. დოლთონი | +50.6 |
| ინოვეიშენ კვერნერ | ნორვეგია | კ. ფროსტადი | +60.5 |
| სილქ ქათ | ბრიტანეთი | ლ. სმითი | +228.7 |
| ჩესი რეისინგ | აშშ | ჯ. ოლსოპი | +316.7 |
| ემერიქაზ ჩელენჯ | აშშ | რ. ფილდი | +413.3 |
| ტოშიბა | აშშ | ქ. დიქსონი | +417.6 |
| სვიდიშ მეჩ | შვედეთი | გ. კრანცი | +445.1 |
| ი-ეფ ედუქეიშენ | შვედეთი | კ. გიუ (ქალი) | +645.1 |
| ბრიუნელსანერჯი | ჰოლანდია | ჰ. ბუსხოლცი | +807.9 |

## კრივი

# დასჯილსაც არ ასვენებენ

მაიკ ტაისონი კიდევ კარგა ხანს ვერ გავა რინგზე, მაგრამ ამას მისი სახელისთვის არაფერი დაუკლია. თვე არ გაივლის, დიდი მოკრივის სახელი საინფორმაციო სააგენტოებმა რამე საქმესთან დაკავშირებით რომ არ მოიხსენიონ.

ეს საქმეები მეტწილად კრიმინალურია, რაკი თუ მაიკის ბიოგრაფიას ვერწმუნებით, დიდ სპორტსმენს ბარემ 25-ჯერ აქვს მიქარული: ეს ძარცაო, მუშტი-კრივიო, გაუპატიურებაო.

აი, ახლაც უკვე მესამე კვირაა, ნიუ-იორკის შტატის მანჰეტენის სასამართლოში ირჩევა ვინმე მიჩ „ბლად“ გრინის სარჩელი. ეს 40 წლის ექს-მოკრივე მაიკს 25 მილიონ დოლარს ემართლება, ესაო და ამ ცხრა წლის წინ ქუჩაში სასტიკად მცემაო.

გრინის ვერსიით საქმე ასე იყო: 1988 წლის 23 აგვისტოს, გამთენიის ოთხ საათზე იგი ტყავეულის სადღეღამისო მაღაზია „დეპერ დენში“, რომელიც ჰარლემში მდებარეობს, გადაყრია ტაისონს და რე-მატჩი (ხელმეორედ კრივი) უთხოვია, რის გამოც მაშინდელი მსოფლიო ჩემპიონისგან გვარიანად გალახულა.

გრინი იმას არ უარყოფს, რომ ტაისონს დაეძებდა და მაღაზიაშიც თავად მიეჭრა, მაგრამ ამტკიცებს, ჩემპიონს რომ შევეხმიანე, იგი უმიზეზოდ ამიხირდა და ისეთი მრეკა, რომ ცხვირი გამიტეხა, შუბლიდან სისხლი მადინა და ძირს დამცაო.

ამგვარ ბრალდებას ტაისონი უარყოფს. მისი თქმით, გრინს მას შემდეგლა დაარტყა, რაც ამან პერანგი დაახია. რაც შეეხება ზარალის ზღვას, მაიკი ამაზე უარსაა, რადგან მიაჩნია, რომ ამ საყოფაცხოვრებო გალახვას მიჩის საკრივო კარიერაზე არ უმოქმედია და იგი არც მატერიალურად უზარალებია.

სადაც ტაისონია, იქ მისი გადიის, მენეჯერთა მენეჯერ დონ კინგის სახელიც უნდა ამოტივტივდეს. ახლაც ასე მოხდა — გრინის ვექილმა შესავალი სიტყვის 40 წუთიდან 30 კინგის კილვას მოანდომა, ესაო და მისი ბრალია, ჩემი კლიენტი დღეს რომ აღარ კრივობსო.



ახლა აღარ იკითხავთ, რას ემართლება ეს ხალხი ალალ-მართალ მენეჯერს? — რასა და თურმე „თეფლონ დონს“ მოუტყუებია მოკრივე: 1986 წლის შერკინების წინ შეპირებია, ტაისონსა და შენ გასამრჯელოს ტოლად გადაგიხდითო, მაგრამ მაიკისთვის თუ 450 ათასი დოლარი მიუცია, გრინისთვის 30 ათასი უკმარებია.

„ბლად“ მიჩი ამტკიცებს, ეს რომ შევიტყვე, გული ისე გამიტყდა, რომ კრივს ჯიგარი ველარ ჩავატანე და ამიტომ ათ-რაუნდა შებმა ქულებით წავაგეო. მე ტაისონმა კი არ მძლია, კინგმა მაჯობაო — მაშინ, მალაზიაშიც დაუღრიალია გრინს და ახლა, სასამართლოზეც იგივე გაიმეორა.

მაინც რა მოკრივე იყო ეს გრინი? — ჭეელობაში ქუჩის ჯიბგირების ყოჩი ყოფილა. ბევრჯერ ჩავარდნილა ქურდ-ბაცაცობაზე. ეტანებოდა კოკაინსაც. მანქანის მართვის მოწმობაც ბევრჯერ ჩამოურთმევიათ, ტაისონის გარდა კი პროფესიულ სარბიელზე მეტს არავის შებმია.

მალაზიაში გალახულ გრინს სამხილები მაშინვე მოუგროვებია, მაგრამ მერე აღარ უჩივლია, რაკი ტაისონი ვითომც შეპირებია, მეორედაც გეკრივებიო. მობერებული მებრძოლი ახლა საბოლოოდ რომ დარწმუნებულა, რე-მატჩი ველარასოდეს შედგებაო, კომპენსაციას ამად ითხოვს გამლახავისგან.

მიჩი ამტკიცებს, მალაზიაში ტაისონმა ისე დამარტყა, რომ თავადაც ხელი მოიტეხაო. რა ესმა ეს ამბავი, სასამართლოზე დამსწრე გრინის დედა ატირდა.

ტაისონიც იქ იყო. მომჩივანის ვექილის მოთხოვნით კინგიც მიიყვანეს. ამან ბრძანა, გრინს იმდენი მივეცი, რამდენსაც იმსახურებდა. მისი კრივის გასამართად კარს არავინ მიმტვრევდა, ტაისონი კი საყოველთაო საცდური — ოქროს ბიჭუნა იყო. რაც შეეხება ტყავეულის მაღაზიას, იმ მუშტი-კრივისას იქ არა ვყოფილვარ და რაც მოხდა, ყურმოკვრით ვიციო.

მსაჯული ექვსია — ორი კაცი და ოთხიც ქალი. განაჩენის გამოსატანად ისინი გუშინწინ დასხდნენ სათათბიროდ, გუშინ კი მსჯელობა უნდა გაეგრძელებინათ.

ვალერი ჯიქია



ტაისონი და კინგი რამ გაყო: სადაც კი მაიკის საქმე ირჩევა, იქ კინგს მოწმედ იბარებენ


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია: ილია ბაბუნაშვილი, ვახტანგ ბზიკაძე, ზაალ გიგინეიშვილი, ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება: ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება: ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი

კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი: ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29